საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიტყვაა, ცვლილებით და ჭორებით ბუნების გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 ივნისი, 2013 წელი.

№121 (7248)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სააკაშვილის „ეტლი“ ციხისკენ მიექანის... 4

ვასილ სანოძე ალაპა-რაკდა 4

კონტროლის პალატისთვის განკუთვნილი „ბოლო ლურსმანი“ მზადაა 2

„ირინას უცნარი გარდაცვალების მაკვირვებს“ 5

კახა კუკავა:

ნატოში საქართველოს საკითხი არც კი განიხილება... 8

ვიდრე უწყლობას არ დავუხრჩვივართ... 9

ბერეზოვსკი ცოცხალია? 11

კვირაძალს საკითხავი

რატომ ვერ ჩავდივართ ვერასოდეს ევროპაში, როგორც ევროპელები 6

„ჩემი საქართ-ველო აქ არი“... 7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ალიან-ჩალიანი

პრემიერს მარგველაშვილის გამარჯვების იმედი აქვს

„კვლევები კვლევებია, მასში გარკვეული ცდომილება ყოველთვის არის ხოლმე. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ დასვამ შეკითხვას, რა კუთხით შეეკითხები.

დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ პირველივე ტურში და დიდი უპირატესობით მოიგებს ჩვენი კანდიდატი, — განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკურ რეიტინგებსაც შეიცავს.

ამასთან, პრემიერი ფიქრობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის„ კანდიდატი მეორე ადგილზეც ვერ გავა.

აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით მედიასთან მცირე კომენტარი გააკეთა თავად კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატმა. გიორგი მარგველაშვილის თქმით, კვლევა მისთვის საინტერესოა, თუმცა, აცხადებს, რომ „ვინაიდან ჯერ ადრეული ეტაპია და არც საარჩევნო სპექტრია ჩამოყალიბებული და არც არჩევნები დანიშნულა, ეს მხოლოდ წინასწარი მონაცემებია“.

საქმე ეხება ძალიან მძიმე დანაშაულს და გაუგებარია, რატომ ატეხეს აჟიოტაჟი

ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს ბათუმში მიმდინარე თავდაცვისა და უშიშროების კონფერენციაზე განუცხადა.

— მინდა მივმართო საზოგადოებას და იმ კრიტიკოსებს, რომლებიც აღნიშნულ დაკავებას აკრიტიკებენ, ერთი მხრივ, სასაცილოა და მეორე მხრივ, აღამშფოთებელია ის ფაქტი, რომ მათი გადმოსახედიდან, ვიცე მერობის თუ პრეზიდენტის თანამდებობა არის ერთგვარი იმუნიტეტი. ჩვენ შეეპირდით მოსახლეობას, რომ არც ერთი ადამიანი პრივილეგირებული არ იქნება ჩვენი მთავრობის დროს — გამოიკვეთა ბრალეულობა ძალიან მაღალი თანამდებობის პირების. დაკავებულებს შორის ფიგურირებს ორი ვიცე მერი. მინდა აქვე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქმე ეხება ძალიან მძიმე დანაშაულს. საქმე ეხება ათეულობით მილიონი ლარის მითვისებას, გაფლანგვას. საუბარია 50 მილიონი ლარის მითვისებაზე, მოპარვაზე სახელმწიფო ბიუჯეტისგან. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ატეხეს ამხელა აჟიოტაჟი. ერთადერთი ახსნაა, რომ ეს გამოწვეულია შიშისგან და მათი მცდელობა, რომ თავი აარიდონ პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისგან. ალბათ, მხოლოდ ამით აიხსნება ის პანიკა, ის ისტერიკა, რაც გვესმის ბოლო ორი დღის განმავლობაში, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ რეაქციას მიმდინარე პროცესებზე, უმცირესობის წევრებმა საპარლამენტო საქმიანობა შეწყვიტეს. როგორც გუშინ საგანგებო ბრიფინგზე ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბეჟუაშვილმა განაცხადა, ეს გამოწვეულია იმ უპრეცედენტო დაკავებებით, რომელიც განხორციელდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიმართ.

შესაძლოა, ჟენევის მოლაპარაკებები შეწყდეს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ჟენევის მოლაპარაკებების შეწყვეტის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

„რეგნუმის“ ინფორმაციით, კარასინმა ჟენევის მოლაპარაკებების შეწყვეტის ალბათობაზე მას შემდეგ განაცხადა, რაც, მისი თქმით, საქართველოს ამიერკავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის შესახებ კონსულტაციები დაბლოკა.

ჟენევის მოლაპარაკებების შეწყვეტის ინიციატივით გამოდის ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ გობოზოვიც.

— ამ დისკუსიების გამართვას აზრი არ აქვს. ეს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ტურიზმია და მეტი არაფერი, — დაწერა გობოზოვმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

ჟენევის მოლაპარაკებების 24-ე რაუნდი 25-26 ივნისს გაიმართა. მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი, რომელიც 2008 წლიდან იმართება, 16 ოქტომბერს უნდა შედგეს.

ინტერპრესი

◎ „თაფლიანი კასრი“

კონტროლის პალატისთვის განკუთვნილი „ბოლო ლურსმანი“ მზადაა

კონტროლის პალატის, იგივე აუდიტის სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის თაობაზე დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა მზადაა. იქ საუბარია სამართლებრივ დარღვევებზე, რომელთა საფუძველზეც კომისია პროკურატურისაგან რეაგირებას ითხოვს.

„ობიექტური რეალობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ 2007 წლის მაისიდან პალატა სრულად დაექვემდებარა ყოფილი მმართველი პარტიის კონტროლს. ამ დროიდან პროფესიონალ და გამოცდილ მოსამსახურეებს მასობრივად აიძულებდნენ განცხადებების დაწერას, დაითხოვეს წლების განმავლობაში დიდი შრომით ჩამოყალიბებულ კვალიფიციურ ხელმძღვანელთა და აუდიტორთა კადრები. ამ ყოვლად გაუაზრებელმა ღონისძიებამ კონტროლის პალატის სრული პარალიზება გამოიწვია, რაც დღემდე გრძელდება, რადგან არ იყო მომზადებული შესაბამისი საკადრო რეზერვი, გააზრებული და გათვლილი განხორციელებული საკანონმდებლო, ინსტიტუციური და საკადრო ცვლილებების შესაძლო შედეგები.

წლების განმავლობაში, მათ შორის 2012 წელს, აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტისგან ითხოვდა და იღებდა, პრაქტიკულად, ორჯერ გაზრდილ საშტატო რიცხოვნობას და მის შესატყვის დაფინანსებას, რითაც საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში ხელოვნურად ქმნიდა საბიუჯეტო თანხების ეკონომიას, რასაც ასევე მრავლობითი კანონდარღვევით, ყოველგვარი დასაბუთებისა და ობიექტური საფუძვლების გარეშე, რეალურად 350-400 შტატზე გათვლილ დაფინანსებას, ფაქტობრივად, ხარჯავდა საშუალოდ 200-220 პირით დაკომპლექტებულ სამსახურზე; ამ ფონზე, პრაქტიკულად 40-50%-იანი ვაკანტური ადგილების პირობებში, არ ჯერდებოდა ყოველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით კუთვნილ 7-8 შტატგარეშე მოსამსახურე, და საქართველოს მთავრობისგან ნებართვას ითხოვდა და მათ რაოდენობას ასევე ყოველგვარი დასაბუთების, საჭიროებისა და გათვლების გარეშე ზრდიდა 50 მოსამსახურემდე. იმ საქმიანობისთვის, რომელიც წესით შტატში მყოფ მოსამსახურეებს, კერძოდ, ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს უნდა განეხორციელებინათ, შტატგარეშე მოსამსახურეებს, ყოველგვარი რეალური საქმიანობის განხორციელებისა და მინიმალური დატვირთვის გარეშე, უნიშნავდა მათ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებას, რომელიც ზოგ **შემთხვევებში აღემატებოდა ქვეყნის მინისტრისთვის გათვალისწინებულ სარგოს — თვეში 3540 ლარს.**

სრულად იყო იგნორირებული როგორც აუდიტორული საქმიანობის პროცესი, ისე აუდიტორთა სრული შემადგენლობა, არაფერი კეთდებოდა რეალურად როგორც მათი მომზადების დონის შენარჩუნების, ისე გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მატერიალური სტიმულირებისა და წახალისების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, კანონის თანახმად აუდიტორების სწავლების, მომზადების, სერტიფიცირებისა და ამ საქმიანობისთვის ნორმატიული ბაზის მოსამზადებლად. კანონით მიცემული წელიწადისა და 6 თვის მიუხედავად, მთელი ეს პროცესი, ნორმატიული აქტების მიღების ჩათვლით, დაიწყო 2013 წლის აპრილის შუა რიცხვებში და უნდა დამთავრდეს პირველ ივნისამდე, წინასწარ ადვილად გასათვლელია როგორი შედეგითაც“, — ნათქვამია კომისიის დასკვნაში.

აუდიტის სამსახური წლების განმავლობაში გაუგებარი მიზეზების გამო კოლოსალურ თანხებს რომ გასცემდა ხელფასების სახით, ამას დეპუტატი დავით ონოფრიშვილიც ადასტურებს. მისი თქმით, აუდიტის სამსახურში, ჟურნალისტი ლაშა ხარაზიშვილი წლების განმავლობაში უშტატოდ იყო გაფორმებული, ხოლო ხელფასის სახით ათობით ათასს ლარს იღებდა.

„მე მინდა მოვიყვანო ერთი ასეთი

მაგალითი: ჟურნალისტ ლაშა ხარაზიშვილს (ეს ის ჟურნალისტია, რომელმაც ქვეყანას ახალი ომის დაწყება მოატყუა) აუდიტის სამსახური წლების განმავლობაში უხდიდა ხელფასს არაფრის კეთებაში“, — განაცხადა ონოფრიშვილმა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2012 წელს სულ მომზადდა 45 აუდიტის ანგარიში, რაც 20-ჯერ ნაკლებია 2006 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით - 883 აქტი; სამართალდამცავებს გადაეგზავნა მხოლოდ სამი დანაშაულის ნიშნების შემცველი კანონდარღვევის ფაქტი, რაც 69-ჯერ ნაკლებია 2006 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით — 208 მასალა.

აუდიტის სახელმწიფო სამსახური პროკურატურასთან პირად, პრივატულ საუბრებში არკვევდა, უნდა გადაეგზავნა თუ არა მისთვის მასალები. აუდიტის სამსახურისა და პროკურატურის თანამშრომლებს შორის „უცნაური ფორმის ურთიერთობებზე“ აუდიტის სამსახურის საქმიანობის შემსწავლელი დროებით საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ნოდარ ებანოიძემ სპეციალურად გაუსვა ხაზი.

„კონტროლის პალატის თანამშრომლები არაოფიციალურად პროკურატურაში არკვევდნენ, გადაეგზავნათ თუ არა მათთან მასალები. პროკურატურის წარმომადგენლები პირად საუბრებში ადასტურებენ, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. პრივატული საუბრების შედეგად წყდებოდა, გადაეგზავნათ თუ არა პროკურატურაში მასალა“, — აცხადებს ებანოიძე.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ წარმოდგენები სერიოზულად იქნა შერყეული მისი მენეჯმენტის პოლიტიკური კავშირების გამო. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი ლაშა თორდია 2012 წლის 23 ივლისამდე ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი იყო პარლამენტში. საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და მისი მოადგილე თინათინ ბოკუჩავა კი თანამდებობებიდან არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მონაწილეობის მისაღებად გადადგნენ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, საოლქო-საარჩევნო კომისიების ტრენერების ნაწილი კონტროლის პალატის თანამშრომლებისგან დაკომპლექტდა, მათ შორის, კონტროლის პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ივანე პეტრიაშვილი, „შემთხვევით“ იმ რაიონში აღმოჩნდა, სადაც თავისი ზემდგომი, ლევან ბეჟაშვილი მაჟორიტარად იყრიდა კენჭს. ამ ყველაფრის გვირგვინს კი წარმოადგენდა ე.წ. „საქმიანობა“, რომელიც ცალსახა პოლიტიკური დაკვეთისა და მიკერძოების ნიშნით აწარმოა 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კომისია თვლის, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საქმიანობა, ანგარიშში ასახული აუდიტის სამსახურის საქმიანობის ყველა მიმართულების გათვალისწინებით, შეფასდეს უარყოფითად. კომისიის ანგარიში და შესაბამისი დანართები, ანგარიშში ასახული კანონდარღვევების სამართლებრივი შეფასების მიზნით, უფლებამოსილების მიხედვით განხილვისა და რეაგირებისთვის, წარედგინოს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

გიორგი ბეჟაური

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● სახელმწიფო ქონების გამფლანგველს ქონების კონფისკაცია არ ეკუთვნის?

● წავიდა ნატო, თუ მოუსწრო სეტყვამ?

● ეს წვიმა უგულავას ზაკაზია, ყველა ნაკვალევს შლისო.

● ჩემს ქუჩაზე საოპელვექტრე სეტყვა იყო. სად მივიდე წამოსაყვანად?

● მოვითხოვ, გენერალურ პრაკურორად დაინიშნოს ადეიშვილი და შსს მინისტრად მერაბიშვილი.

აი, მერე ვნახოთ როგორ იბლატავებენ უგულავა და დანარჩენები.

● NATO ისე შემოიჭრა გულში, ნიუჟელი კარი დამრჩა ღია?

● როდესაც როდესმე დაიწერება სააკაშვილის ბოროტების კლანის აღზევების და დანგრევის წიგნი, როდესაც ეს საშინელი კადრები თავის ადგილს იპოვიან არქივებში, როდესაც აღარავისთვის აღარ იქნება საეჭვო, თუ რა მასშტაბის ჭირი მოვიხადეთ... თუ ვინმე იკითხავს, როგორ მოვახერხეთ ამ ამაზრზენი საშინელების დამარცხება, და ვინ იყო ის გმირი, ვინც ყველაზე მეტი გაიღო და ყველაზე მეტად დაჭრა ტირანი, პასუხად ირინა ენუქიძის სურათი იქნება საკმარისი!

და თუ იმასაც იკითხავენ, როგორ მოხდა, რომ ამ გარეწრებმა ამდენ ხანს იბოგინეს ქვეყანაში და ამდენ ხანს დაუსჯელად აკეთეს შავბნელი საქმეები, პასუხად ისევ ეს სურათი გამოდგება - შვილმკვდარი დედა, რომელიც ძალიან დიდხანს მარტოდმარტო ებრძოდა ბოროტებას!

ჩვენ ყველამ ქედი უნდა მოვიხაროთ ამ ქალბატონის ხსოვნის წინაშე, რომელმაც თავისი შვილის სიკვდილის გახმაურებით და თავისი მარტოსული ბრძოლით, სიკვდილის შემდეგ მაინც მოახერხა, რომ გვიან, მაგრამ მაინც ეზეიმა ტირანის მზის ჩასვენებას!

ნათელი ჰფარავდეს ამ ქალის ხსოვნას, ვინც საკუთარის დამკარგავი ჩვენს შვილებს გადაეფარა !

● ვასილ მაღლაფერიძე

ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, მსოფლიოში არსებული წესრიგი უნდა მივიღოთ ისე, როგორც არის და უნდა გავიწაფოთ ამ წესრიგის ენაზე საუბარში; თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რასაც გვეტყვიან, ყველაფერი მართალი გვეგონოს! მსოფლიო იმართება რეალპოლიტიკით(!), რაც მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნვას ნიშნავს და აქ ცრემლების არავის სჯერა.

შეიძლება ხმამაღლა არ ვთქვათ, მაგრამ ჩვენთვის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ სტანდარტები არაფერ შუაშია და ნატოში საქართველოს მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ნატოსთვის სარგებლობის მომტანი უფრო მეტად იქნება, ვიდრე — ზიანის;

დღესდღეობით ნატოსთვის გაცილებით ხელსაყრელია ნატოს წევრობის მომლოდინე საქართველო, ვიდრე — ნატოს წევრი საქართველო, რადგან საქართველოს ნაკისრი აქვს ისეთივე (ზოგჯერ უფრო მეტიც) ვალდებულებები, როგორც — ნატოს წევრ ქვეყანას, თავად ნატოს კი საქართველოს მიმართ ვალდებულებები არ გააჩნია.

სულ ეს არის მაპისა და მაპზე უკეთესის მოლოდინის კონტექსტი.

● მე არ ვიცი, ვინ არის დავით ნინიძე, შეიძლება მართლაც კარგი კაცია, მაგრამ ცოტა უხერხულია, როდესაც მიშა გაქებს... ესაო, ისაო, ახალი დავით აღმაშენებელი არისო (ჩემს შემდეგო), განათლებულიო, დახვეწილიო, კარგად ჩაცმულიო, ასეთიო, ისეთიო. ჰოდა ერთი ძალიან სიმპატიური, განათლებული, ჭკვიანი, ხალიონი, მაგარი ჩამცმელი და ტიპური არისტოკრატი, თანაც ბაბოჩკიანი კაცი გამახსენდა, ქე რომ ხშირად გვახსენებდა, თქვენ დემოკრატია ლობიოობა ხომ არ გგონიათო...

● ნაციონალებმა უნდა თქვან, ბედი გვაქვსო...

ციხეში კი არა სანატორიუმებში მოუწევთ ჯდომა, ტელევიზორებით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით ჰო, კინაღამ დამავიწყდა, სოზარს ბრძანება გაუცია, ცოცხები არ დამანახათო და სულ ცინცხალი მტვერსასრუტები დაურიგებიათ ციხის თანამშრომლებისთვის.

ნაღდად ბედი უნდა ყველაფერს...

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დასაგმობი უნდა დაიგმოს!

ოცწლიანი შიმშილობის, ნგრევისა და პოლიტიკური ბაკქანალიის შემდეგ ხალხის იმედად მოვიდა ახალი ხელისუფალი, რომელსაც ქვეყნის ზრუნვაზე უარი არც მანამდე უთქვამს. გასული ორი ათეული წელი იყო ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების გარყვნის, ჭირთა თმენის, ხელჩაქნევისა და სამშობლოდან იძულებითი გაქცევის ავად მოსაგონარი პერიოდი. უხეშმა ძალადობამ და სიცრუემ მოუშორებელი ნაღველი ჩაუგუბა სულში ჩვენს ხალხს. ერის წინაშე პასუხისმგებლობას შეკვეთით არავინ იღებს, ის ვალია ქვეყნის ყველა მოქალაქისა და ლიბოდ მამულის სიყვარული უნდა ედოს. ახლა გაჩნდა ჩვენი დათგრუნვილი ყოფიერების გარდაქმნისა და ქვეყნის გადარჩენის იმედი. ამდენად, ყველა თანამდებობის პირი, რომელსაც გარკვეული დარგის წარმართვა ეკისრება, გამრჯე გლეხკაცის შრომით უნდა იწყებდეს ყოველ ცისმარე დღეს.

სამართლიანობა უნდა აღდგეს ქვეყანაში, აღდგება კიდეც, მაგრამ ცუდი იქნება, თუ რომელიმე მინისტრი უსერხულად იგრძნობს თავს ამ პროცესში...

შემოსვა უდიდესი პატივია მოკვდავთათვის. კარგი ქართველობა სწორედ უანგარო სამსახურით გამოჩნდება, თორემ საკუთარი ჯიბისკენ ყურებას რა ჰქვია, ამას დიდი ფილოსოფოსობა არ სჭირდება. ისე ცოდვა გამხელილი სჯობია და ზოგი თქვენგანი მინისტრობაზე ვერც იოცნებებდა, არ ვიცით, იქნებ სულაც უმუშევარი იყო. თქვენ გენდოთ ხალხი, გენდოთ თქვენი მოძღვარი და არც ერთს და არც მეორეს არ უნდა უმტყუნოთ. დღეს ქვეყანა დანგრეულია, მეურნეობა მოშლილი, სამართლიანობა მკვდარი, ადამიანი სიცოცხლის სიძულვილით შეპყრობილი. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტს სიღატაკეში ძვრება სული, სადაც, ბევრ მოქალაქეს კომუნალური გადასახადის გადახდა არ შეუძლია და მთელი ზამთარი ლოგინში წევს, ფუფუნების ნება არც მინისტრმა და არც სხვა მოხელემ არ უნდა მისცეს თავს. იმპერატორი პეტრე პირველი დაბადების დღეს თავისი მინისტრის სასახლეში იხდიდა. თვითონ სასახლე არ ჰქონდა. ჩვენმა პრეზიდენტმა ალბათ არ იცის ეს ამბავი, თორემ თავს მოიწონებდა, ის, რაც პეტრეს არ ჰქონდა, მე მაქვსო. ამ მინისტრს რაც დაემართა ყველამ კარგად იცის. ნუ წარმოვიდგენთ, რომ არსთა გამრიგემ გიბოძათ მინისტრის სავარძელი. თქვენ ქვეყნის გადარჩენის სამსახურში დგახართ, ალბათ პიროვნული და პროფესიონალური ღირსება გაითვალწინა პრემიერმა და თქვენი ღვაწლით უნდა დაამტკიცოთ, რომ ის არ შემცდარა. ღირსეული მოხელე, რომელიც მცირედ პასუხისმგებლობას მაინც გრძნობს, დღეს პირად კეთილდღეობაზე არ უნდა ფიქრობდეს. ბატონო მინისტრებო, ხომ არ გეჩვენებათ, რომ უღალატეთ მართლაც „ღვთისაგან მოვლენილი“ ქვეყნისკაცის დაწყებულ დიდ საქმეს? წინა ხელისუფლების მანკიერების გადმოღება არც მინისტრს ეკადრება, არც უბრალო ჩინოვნიკს. სამი წლის მანძილზე, ერთ სამინისტროში, პრემიების გასაცემად დახარჯული 42 მილიონი ლარი (ასე წერენ გაზეთები) ჩვენნაირი ქვეყნისათვის კატასტროფაა. არც ერთმა მოხელემ არ უნდა იფიქროს, რომ სამინისტრო მისთვის საქულას დუქანია, სადაც ყველაფერზე მიუწვდება ხელი. ეს ყაჩაღები ამავდროულად დაქოქილი დემაგოგებიც არიან, და შავს თეთრად მოგაჩვენებენ. ყველა კარგად ხედავს, რომ მათი „საგმირო საქმეები“ ისტორიაში ჩადენილ ნებისმიერ ბოროტებას გაუსწორებს თვალს. მათი ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის მანძილზე უკულტურობას კულტურულობა ერქვა, უვიცობას — ცოდნა, უნამუსობას — ნამუსი. კაცი სიბერემდე სიქაჩლეს უნდა ელოდესო, სწორედ ასეა ჩვენი საქმე.

ქვეყნის მოუშორებელ სირცხვილად ციხეებში ჩადენილი მხეცობაც კმარა. ამბობენ ციხეებში პატიმართა ორი მესამედი უდანაშაულო „დამნაშავეა“. უდანაშაულო ადამიანის საპყრობილეში გამოკეტვა ღვთისა და საზოგადოების წინაშე უდიდესი ცოდვაა, თუმცა, ეს ამათ ნაკლებად აწუხებდათ. კაცისმკვლელი და ქურდი საზოგადოებისაგან იზოლირებული უნდა იყოს, მაგრამ აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი, იმის მიუხედავად, რომ ორივე ქურდია, ერთნაირად არ უნდა იხდიდეს სასჯელს. არც ნულოვანი ტოლერანტობაა ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების ერთადერთი გზა. ექვსი ცალი საბურავის მოპარვისათვის 18 წლის ციხეს რომ უსჯი მოზარდს, მან სასწაულით საპყრობილედან თუ გამოაღწია, ნამდვილად შურისმგებელი იქნება და მისგან მოქალაქე ვეღარ ჩამოყალიბდება. ასეთი სასჯელი სამართლიანი კი არა, სრული უსამართლობაა. სასჯელის სიმკაცრესაც საფუძვლად სამართლიანობა უნდა ედოს. თუ საზოგადოებას უნდა, რომ ადამიანი სასჯელის მოხდის შემდეგ მის წევრად იქცეს, დამნაშავეს უნდა სჯეროდეს, რომ სამართლიანად დაისაჯა. სხვა შემთხვევაში, საზოგადოებაზე გაბოროტებულს, უფრო დიდ დანაშაულზე წაუცდება ხელი. თქვენ დაგხვდათ ცხრა წლის მანძილზე კარგად ჩამოქნილი ტიპი მოხელე ბიუროკრატისა, რომელიც ქვეყანასაც და თავის საქმესაც ერთი კაცის ბოროტი თვალითა და საზომით ზომავდა. ვერაგობასთან ერთად მათ თავის მოკატუნებაც კარგად ეხერხებათ და თავი ისე მოაქვთ, მამა აბრამის ბატკანი მათთან შედარებით შიშველ ბოროტებად გამოჩნდება. პოლიტიკურ ამნისტიას იმიტომ კი არ ითხოვენ, რომ დანაშაულისთვის სასჯელი ელით, არამედ იმიტომ, რომ ათჯერ მეტი დანაშაული აქვთ ჩადენილი, რომელიც სამართლის დამცავებს ჯერ არ გამოუძიებიათ.

მინისტრად არავინ იბადება, ალბათ არც თქვენ გქონიათ ამის ილუზია. მინისტრები რომ გახდით, ალბათ უფრო მწარედ იგრძენით, რა სასტიკ დროში მოგიწევდათ მუშაობა. თქვენი თანამდებობა დიდი პატივია ადამიანისათვის, მაგრამ ზოგისთვის ზედმეტად დიდი პატივია. ვინც ამას ვერ იგრძნობს ის სამინისტრო კაცი ნამდვილად არ არის. ზოგი მინისტრად რომ დაინიშნა, სახტად დარჩა ალბათ, ამიტომ მან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი დანიშვნა შეცდომა არ ყოფილა. ზღაპარში არ ვცხოვრობთ, რომ ვინმეს გაუჩნდეს სურვილი ჩოჩიალა ურმიდან პირდაპირ სამოთხეში გადახტომისა. ჩვენ უსაშინლესი რეალობის პირისპირ ვდგავართ. ვინც ხელფასის სარგოს ოდენობით ყოველთვიური პრემიები მისცა თანამშრომლებს, მას უნდა თანამდებობრივი ამბიცია ეკონომიკურ კეთილდღეობით განიმტკიცოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენზე თუ მეტი არა, არანაკლები პროფესიონალები, რომლებიც „ნაცებმა“ სამსახურიდან გამოუშვეს, ან ხელცარიელები სხედან ან 125-ლარიან პენსიას შეჰყურებენ თვიდან თვემდე. შექმნილ მძიმე ვითარებაში ბრალი ყველას გვაქვს. საქვეყნო საქმეები ხალხის თანადგომის გარეშე არ წყდება. წინა ხელისუფლების ბნელ საქმეებს ხალხი არ შეჰგუებია, მაგრამ ვერა და ვერ მოვიცილეთ ჩვენი რიგებიდან მღვდელი გაპონი. უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ გვაკლია ეროვნულობის განცდა, რათა ერთიანი ძალით ვიბრძოლოთ საერთო ჭირის წინააღმდეგ. ფუფუნება ძვალ -რბილში გაუჯდება თანამდებობის პირს და ამისთვის უკადრის საქმეზეც არ იტყვის უარს. მშიერი ადამიანი ღირსებააყრილია. მინისტრობა დიდი თანამდებობაა და საზოგადოებაში მას პატივი საქმის ცოდნამ და პროფესიონალიზმა უნდა მოუპოვოს. თქვენ დაქცეული და ფეხქვეშგათელილი ქვეყნის ფეხზე დაყენება იტვირთეთ. აქედან უნდა უყუროთ თქვენ პირად ცხოვრებასაც. არავინ არ ამბობს, რომ მინისტრი ცალ-ცალი კალოშით უნდა დადიოდეს, მაგრამ უხერხულია, თუ უფრო მეტი არა, როცა ქვეყანაში ამდენი გაჭირვებულია, მინისტრი თავისი თანამშრომლებით ისედაც სოლიდურ ხელფასს გაორმაგებით ღებულობდეს. ეს მანკიერება წინა ხელისუფლებამ დაამკვიდრა და თქვენ მათთან ალავერდს არ უნდა გადადიოდეთ. არ უნდა შეეტოლოთ იმათ, ვისაც ქვეყანა გახვრეტილ შაურიანადაც არ უღირს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ თანამდებობის მინისტრები კი არა, დაქცეული სამშობლოს მინისტრები ხართ. დღეს აუცილებელია თანამდებობის პირი იყოს ქვეყნის გულშემატკივარი, თორემ უბრალო ადამიანთა შორის უამრავია, ქართველობის სული რომ წვავს. აწყობილ ქვეყანას ერთი და ორი ან თუნდაც რამდენიმე მოხელის სიმრუდე ვერაფერს დააკლებს, მაგრამ დაქცეულ ქვეყანას რომ უფრო დააქცევს, ფაქტია. ახლა თანამდებობის პირმა პირადი კეთილდღეობა საქვეყნო საქმეს უნდა ანაცვალოს. ჩვენი პრეზიდენტი ვინაა, ყველას კარგად მოეხსენება. 2003 წლის არჩევნებში უმრავლესობამ შევარდნაძის წასვლას მისცა ხმა და არა სააკაშვილს. მართალია, მაშინ ამ აცა-ბაცა ყმაწვილისა ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, მაგრამ შევარდნაძეზე უარესი წარმოუდგენლად მიაჩნდათ. იმედგაცრუება დიდი იყო (ისტორიას აქვს იმედგაცრუების გაკვეთილები). მალე მიხვდა ხალხი უარესი პეზიდენტის არსებობაც რომ რეალობა ყოფილა. უფრო უარესისგან ღმერთმა დაგვიფაროს, ადამიანის ფანტაზია მას ალბათ ვერ მისწვდება. ახლა ჩვენი საზოგადოება სასოებით შეჰყურებს ახალ მინისტრთა კაბინეტს, რომელსაც სათავეში უდგას დიდი მეცენატი, უანგარო მოღვაწე, ქვეყნისა და ხალხისათვის ჭეშმარიტად თავადადებული კაცი. არჩევნებზე ჩვენ ხალხს მორიგი შეცდომა არ დაუშვია. მან ხმა მისცა ახალ გუნდს, რომელსაც შეცდომის დაშვების უფლება არ აქვს. თქვენ შორის გამორჩეული ერთია, რომელმაც მოგცათ შანსი თქვენც გამორჩეული იყოთ. ბატონო მინისტრებო, თქვენ ქვეყნის ცხოვრების ამ რთულ პროცესში განსაკუთრებული როლი გაკისრიათ და თქვენზე ავად არ უნდა აქილიკოთ არც გულგატეხილი ხალხი და არც თქვენი მოწინააღმდეგენი.

1995 წლიდან საქართველოში 30 მილიარდამდე დოლარია შემოსულიო, — გვაუწყებენ პრესა და ტელევიზია. თქვას ვინმემ, ვის მოხმარდა ეს კოლოსალური თანხა? უგრძვნია უბრალო მოქალაქეს ამ სიმდიდრის სიკეთე? ერთხელ ხომ მაინც უნდა იღვაწოს კაცმა თავის ქვეყნის სიყვარულით, ერთხელ ხომ მაინც უნდა იგრძნოს თავი ასეთი თანამდებობის პირმა თავისი ქვეყნის ჩაწიხლული ადამიანის ქომაგად? ცხრა წელია, ჩვენი ცხოვრება ყოფილი ხელისუფლების რიხიანი პათოსის მუხედავად, უკან-უკან მიდიოდა. პრემიების მანკიერი პრაქტიკა (აღორძინებულ ქვეყანაში მოგეცათ ლხენა, ეს კარგი იყოს) და ბევრი სხვა მანკიერებაც სააკაშვილის რეჟიმმა დაიკანონა. ოცი წელია, ნიავდება ჩვენი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე. ქვეყანა დარჩათ მტაცებლებს დამშეული და იმედდაკარგული ხალხით. ხომ ხედავთ კბილებალესილი მგლებივით რომ გირბენენ გარშემო და თავის „მოღვაწეობის“ მანძილზე გასაკეთებელი საქმის გაკეთებას თქვენ გიკიჟინებენ. თქვენ რით უპასუხეთ? მათი დანერგილი „პრაქტიკა“ მოგეწონათ, პირიქით კი უნდა იყოს. თქვენ უნდა იღვაწოთ და იცხოვროთ ღირსებით. ნახევრად კომიკურ სატელევიზიო გადაცემებში ღრეჭვით და „მახვილსიტყვაობით“ პოპულარობას ვერავინ მოიხვეჭს. ფული არსებობისათვის ყველას სჭირდება. ბევრი ფული ფუფუნებაა, მაგრამ თქვენნაირი მოხელისთვის ის, ვისაც მხრებზე ქვეყნის გადარჩენის ტვირთი აწევს (ეს კი ნებისმიერი მოხელისათვის საამაყოა, თუ ამის გაგების უნარი შესწევს) ნამდვილად ხელის ჭუჭყი უნდა იყოს. ჩავთვალოთ, რომ თქვენს მიერ ხელგაშლილად დარიგებული პრემიები პატარა იაღლიში იყო, რომელიც აღარ განმეორდება. ამ მძიმე დროში იძულებული ვართ, იმას დავჯერდეთ, რაც გვაქვს. გვჯერა „კირზის ჩექმების“ დროც დაგიდგებათ, დროს წინ ნუ გაუსწრებთ. ქართველებს შეგვწევს უნარი ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა. ამ გზაზე პირად კეთილდღეობას დაქვემდებარებული ყველა სურვილი დასაგმობია.

დროა, ვირტუალური სამყაროდან ჩვენ სასტიკ რეალობას დავუბრუნდეთ.

რევაზ ხვედელიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალიან-ჩალიანი

ევროსაბჭო საქართველოს 17 მაისის მოვლენების სწრაფად გამოძიებისკენ მოუწოდებს

— საქართველოს ხელისუფლებამ სწრაფად უნდა გამოიძიოს 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ აქციის მონაწილეებზე მომხდარი თავდასხმა, — ნათქვამია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლოს რეზოლუციაში.

რეზოლუციაში, რომელიც საპარლამენტო ასამბლეის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ასევე აღნიშნულია, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მათ, ვინც ეს ძალადობრივი ქმედება გამოიწვია და ჩაიდინა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ ასამბლეა მიესალმება ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს. თუმცა, პროგრესის მიუხედავად, ასამბლეა წუხილს გამოთქვამს, პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირების მხრიდან ჰომოფობიური განცხადებების გაკეთების გამო.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საკაშვილის „ეტლი“ ცისკენ მიჰქრის...



ამერიკის კონგრესის ვებსაიტზე გამოქვეყნებულმა ტექსტმა, რომელიც სააკაშვილის ჯგუფისთვის სასურველი აღმოჩნდა და „ნაციონალებს “ ერთგვარად ამოსუნთქვის საშუალება მისცა, დროებითი სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა და კიდევ ერთხელ ჩააფიქრა, „იქნებ ყველაფერი ჯერაც დაკარგული არ არისო“, მაისის თოვლივით გაადნო სამეგრელოში აღმოჩენილმა და საჯაროდ გამოტანილმა შოკისმომგვრელმა კადრებმა.

სამეგრელოს სამალავში ნაპოვნი ვიდეო და აუდიო ფაილების, დოკუმენტებისა და გადამალული იარაღის ამოღების შემდეგ მოწყობილი არქივის პრეზენტაციაზე ცხადი გახდა (იმათთვისაც, ვისაც ჯერ კიდევ არ სჯეროდა თუ შეგნებულად თვალს ხუჭავდნენ, როგორიც ჟურნალისტი ე. კვესიტაძეა), რომ ქვეყანაში ხდებოდა სისტემური დანაშაული: არა ჩვეულებრივი, არამედ ამაზრზენი ფორმებით განხორციელებული მკვლელობები, „შეკერილი საქმეები“. შანტაჟი, უკანონო მოსმენები, ადამიანებზე ფსიქოლოგიური და სექსუალური ზეწოლა, მოქალაქეთა უფლებების ტოტალური დარღვევები და ასე შემდეგ.

ახლა ისმება კითხვა, სად იყვნენ „ჩვენი მეგობარი პატივცემული ამერიკელები, მაშინ, როცა სააკაშვილის რეჟიმი ტოტალურად არღვევდა ადამიანის უფლებებს, ქუჩაში ხოცავდა ადამიანებს, აუპატიურებდა და ასე შემდეგ?

კანონის უზენაესობის პრინციპი არ ითვალისწინებს რაიმე შეღავათს ან იმუნიტეტს ყოფილი ჩინოვნიკისა და თუნდაც მაღალი რანგის მოხელისათვის. ამ პრინციპიდან გამომდინარე, საკადრისი პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველას, ვინც იდგა ჩადენილ უსასტიკეს დანაშაულთა სათავეში, შემსრულებლებთან ერთად.

რამ აიძულა სააკაშვილის რეჟიმი ეკეთებინა ის ამაზრზენი ქმედებები, თავის დროზე ფაშისტები რომ ანხორციელებდნენ? აქ არის ერთადერთი პასუხი. მხოლოდ ფსიქიკურად ავადმყოფ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს შეძლო ამგვარი რამ მოეფიქრებინა და განეხორციელებინა. ცხადია, სააკაშვილი და მისი რეჟიმი ხალხის განაჩენს ვერ გადაურჩება. ამის მოთხოვნა უკვე იყო.

რატომ დაიმარხა „საიდუმლო“ არქივი მაინც და მაინც სამეგრელოში? იმიტომ ხომ არა, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლევან ქარდავა სამეგრელოდან იყო? ხომ უფრო უსაფრთხოდ გადაინახავდნენ უკანონოდ მოპოვებულ მასალებს მაღალმთიან მხარეში? სამეგრელოს მზაობა და მხარდაჭერა შეუძლია კეთილ საქმეში, როგორც ზვიად გამსახურდიას დროს დასდო თავი ამ მხარემ, მაგრამ ისინი არ დაიცავენ დამნაშავეებს. ჩვენდა საბედნიეროდ, სააკაშვილი იმასაც ვერ მიხვდა, ვერ გათვალა, როგორც ბევრი სხვა რამ, საერთოდ გადაენახა ეს „ყუმბარის“ მოქმედების კადრები თუ მოესპო.

ახლა, საკუთარ ბინძური თითებით ამოთხრილ ორმოში ჩავარდნილი სააკაშვილი ბოდვებითა და მიკიბულ-მოკიბულით იმართლებს თავს. საზღვარგარეთიდან ისეთ რამეებს როშავს, მგონია, უკვე ამნეზია სჭირს. თუმცა, რა ავადმყოფობით არის სნეული, რა უბედურება შეეყარა, მოსახლეობამ დიდი ხანია იცის.

ყოველმხრივ გაძარცული და უფლებადაკარგული „პრეზიდენტი“ კი არა, ვაი პრეზიდენტი, ცდილობს რაიმე ხერხით, რაიმე საშუალებით პასუხისმგებლობა აიცილოს და რამდენიმე დაბალი რანგის პოლიციელს გადააბრალოს, რაც ქვეყანაში სადისტურ-სადამსჯელო უბედურება ხდებოდა. მოსახლეობის ფართო ფენამ იცის სინამდვილეში, რაც ჩაიდინა ყოფილმა ხელისუფლებამ და იმ 12 800 ფაილშია აღბეჭდილი. ზუგდიდის სამალავში აღმოჩენილი და დამატებით ნაპოვნი კიდევ ოთხი კასრი მეტყველებს, რომ ეს არ არის საბოლოო, ანუ ჩვენ ველით, რომ კიდევ აღმოჩნდება ამგვარი სამალავი, ანუ მივიღებთ დამატებით უტყუარ დასტურს, რომ საქართველოს 9 წლის განმავლობაში ხელმძღვანელად ჰყავდა იგივე „ჰინოჩეტი, იგივე ჰიტლერი, იგივე ჰუსეინი, იგივე მუსოლინი.

ისმება კითხვა, პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რატომ არ გაანადგურეს ეს არქივი? ცხადია, ელოდნენ ხელისუფლებაში მოსვლას და შემდეგ კიდევ უფრო მასშტაბური ძალით მოსახლეობაზე შეტევას, რათა დამატებით ეშოვნათ მილიარდები, განეხორციელებინათ საზღვარგარეთის მიერ შემოთავაზებულ ქართველი ერის გადაგვარების, სულიერი და ფიზიკური მოსპობის საშიში გეგმა.

რას გაუძლო ბედკრულმა ხალხმა ჯერ შევარდნაძის პერიოდში, რა საშინელება გადაიტანა სააკაშვილის ძალადობრივ-პოლიციური ყოფის პირობებში, ენით აღუწერელია.

რაც 9 წლის განმავლობაში ჩაიდინეს, რა საშინელებაც დაატეხეს თავს მოსახლეობას, ამისთვის ბოდიშის მოხდასაც არ აპირებენ „ნაცები“ და მათი „გადარეული რეჟისორი“ სააკაშვილი, ისინი დღემდე ყველაფერს პოლიტიკურ დევნას აწერენ და ცდილობენ, საზღვარგარეთელი ლობისტების დახმარებით, თვალში ნაცარი შემოგვაყარონ.

არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ კვდომის პროცესისაკენ მავალ პარტიას და მის ლიდერს დამოუკიდებელი მოღვაწეობის პერსპექტივა არ აქვთ, ამიტომ უნდა ველოდით მათი გაქრობის მოსაბეზრებელ და გაჭიანურებულ პროცესს? „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, „ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ „ნაცმოძრაობა“ შევინარჩუნოთ, არამედ ის, რომ ეს კვდომის პროცესი რაც შეიძლება რბილად და უმტკივნეულოდ დასრულდეს“. ხალხნო! ვისაც ამგვარი ლოგიკა აქვს, მათ მინდა, შევახსენო, რომ ეტყობა, თქვენთვის იმ ნაძირლებს ყბა ძალადობრივად არ გაუხსნიათ და ხახაში არ ჩაუფურთხებიათ; თქვენთვის ცოცხი უკანალში არ გაუყრიათ; ღამე ლოგინიდან არ წამოუყენებიხართ და არ აუძულებიხართ არარსებულ, ერის ღალატის ტოლფას დანაშაულზე ხელი მოგეწერათ....

როგორ შეიძლება დაუსრულებლად ვუცქიროთ ამ „ჯოჯოხეთის ეშმაკთა“ „ნელი კვდომის“ პროცესს, თუ როდის აღესრულებიან და გავლენ პოლიტიკური სცენიდან .

არა, ბატონებო!... ახალმა ხელისუფლებამ კიდევ რა მასალები უნდა მოიპოვოს, რომ დარწმუნდეს – ქვეყანაში ხდებოდა სისტემური საშინელი დანაშაულობები. ის არგუმენტი, რომ პრეზიდენტს იმუნიტეტი იცავს, არ ნიშნავს, რომ ის კანონზე მაღლა უნდა იდგეს და პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოებს მისი დაკითხვა არ შეეძლოთ. პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეა. დამნაშავე მოქალაქე. არა მხოლოდ პირადად, არამედ დამნაშავე ჯგუფთან ერთად სჩადიოდა ერის ღალატის შემცველ ქმედებებს. ის იყო დამკვეთი და „დირიჟორი“, რომლითაც ხალისობდა, ერთობოდა, სისხლიან ხელებს თვალზე გვაფარებდა და წლების განმავლობაში კმაყოფილი იყო, რომ გვაბრიყვებდა, ამიტომ, უნდა დაიკითხოს და პასუხისგებაში მიეცეს. ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში უამრავი ფაქტია, სადაც პირველი პირები დაიბარეს და არა მხოლოდ დაკითხეს, არამედ დააპატიმრეს კიდეც. გავიხსენოთ, თუნდაც საფრანგეთისა და იტალიის მაგალითები.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც სასწრაფოდ მოსაგვარებელია, გახლავთ სახელგატეხილი და აზროვნებადაბინდული, გაბოროტებული ადამიანის უსასრულო ვოიაჟებისთვის ზღვრის დადება. იგი უსირცხვილოდ კვლავაც ცდილობს, ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას და ავრცელებს ქვეყნისთვის მავნე განცხადებებს.

ორიოდე თვის წინათ ივანიშვილმა განაცხადა, რომ „საქართველოს პრეზიდენტი 2013 წლის ოქტომბრამდე თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით, მისი ვიზიტები არ არის კოორდინირებული საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, მისი განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოზიციას“.

თავად სააკაშვილი არ მალავს, რომ ძალიან უხერხულ მდგომარეობაშია: „უმოქმედობა ჩემთვის მძიმე ტვირთია. რომ ვთქვა, ძალიან კომფორტულად ვგრძნობ-მეთქი თავს დღევანდელ ვითარებაში, ეს იქნებოდა სიცრუე და ამას ნამდვილად არ ვიკადრებ, ამიტომ ვრჩები პრეზიდენტის თანამდებობაზე, ეს არის ის, რომ დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოთ ქვეყანაში და შევქმნათ საკონსტიტუციო სტაბილურობის რაღაც შესაძლებლობა მაინც“.

ახლა, როცა ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან დაძაბულია და ზედაპირზე დევს ყოფილ ხელისუფალთა ავი ნამოქმედარი, პრეზიდენტის გაუთავებელი გადაფრენა-გადმოფრენები მსოფლოს სხვადასხვა ქვეყნებში შესაწყვეტია. პრაქტიკულად და პოლიტიკურად გაძარცული ადამიანის უაზრო ვიზიტები შესაჩერებელია. მით უფრო, რომ პრეზიდენტი აღარ წარმოადგენს ხელისუფლებას, მეტიც, მასთან ოპოზიციაშია. როცა რეფორმებმა განადგურებამდე მიიყვანა ქვეყანა, მისი ყოფილი ხელქვეითები პასუხისგებაში არიან მიცემული და ბევრიც გაპარულია ქვეყნიდან. იქნებ საიდუმლოდ ხვდება დამნაშავეებს და ერთად გეგმავენ სამომავლო დანაშაულებს?

უკვე არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ სააკაშვილი და მისი დამნაშავე „ნაცები“ გონს მოეგებიან. აღიარებენ ჩადენილ დანაშაულებს და საზოგადოებისაგან მოითხოვენ პატიებას.

სააკაშვილი და მისი ამფსონები ყველანაირად ეცდებიან, თავი აარიდონ გასამართლებას და არასასიამოვნო დაკითხვებს, მაგრამ, თუ ახალი ხელისუფლება ვერ შეასრულებს ხალხის მოთხოვნას და სამაგალითოდ არ დასჯის დამნაშავე რეჟიმს (ისე, როგორც ეს ბევრ ქვეყანაში მოხდა), მაშინ საზოგადოებში დაგროვილი სერიოზული უკმაყოფილება, შესაძლებელია აფეთქებაში გადაიზარდოს.

ბორის დავითაია,
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.
სენაკი

„მუნჯები“ ალაპარაკდნენ

ვასილ სანოძე

ვანო მერაბიშვილისა და დათა ახალაიას წინააღმდეგ გამოძიებას ჩვენება შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილმა უფროსმა ვასილ სანოძემ მისცა. შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი თავის არეში მიყენებული ჭრილობის შემდეგ, მედიის წინ არ გამოჩენილა. For.ge-ს ინფორმაციით, სანოძე მკურნალობის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და რამდენიმე კვირა ტაძარში იმყოფებოდა. სანოძე თბილისის პროკურატურაში იმყოფებოდა და გამომძიებლის კითხვებსაც ამომწურავად უპასუხა.

გამოძიებით დადგინდა, რომ სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორება განხორციელდა შეკვეთით და ეს შეკვეთა ე.წ. შარდენის სუფრიდან შსს-ს იმდროინდელი გენარალური ინსპექციის უფროსის ვასილ სანოძის დაბადების დღეს კუდ-ის იმდროინდელმა უფროსმა დათა ახალაიამ გასცა, რომელიც დღეს მიმალვაშია.

გამოძიების ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის საკმარის საფუძველს იძლევა 81 მოწმის ჩვენება. ბრალდება გამყარებულია, შსს-ს პრესსამსახურის ყოფილი უფროსის გურამ დონაძის, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და თბილისის პოლიციის ყოფილი უფროსის მერაბ ბაღათურიასა და სხვა მოწმეთა ჩვენებებით. მათ შორის დაიკითხნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური და დავით ქოქიაშვილი. რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებულს გერონტი (გია) ალანიას, მან საქართველო არჩევნებიდან ცოტა ხანში დატოვა.

პროკურატურა მკვლელობის დაკვეთის ბრალდებით ახალაიას ბრალს წაუყენებს. წაუყენებენ თუ არა სანოძეს ბრალს სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, თბილისის პროკურატურაში ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ.

შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე საზოგადოების ყურადღების ცენტრში პირველად სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამო მოექცა.

2006 წლის 28 იანვარს თბილისის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ბარში შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები და მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია ვასილ სანოძის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. სუფრაზე იმყოფებოდა სანდრო გირგვლიანის მეგობარი გოგონაც.

სანოძე ყურადღების ცენტრში 2011 წლის 3 მაისს ისევ მოექცა. ოფიციალური ინფორმაციით, სანოძეს წერეთლის გამზირზე მდებარე საკუთარ ბინაში ტაბელური იარაღი გაუვარდა და თავის არეში მიყენებული ჭრილობით, ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მოათავსეს. ეზო პოლიციის მაღალჩინოსნებით გადაიჭედა, შს სამინისტრომ და კლინიკის მედპერსონალმა არანაირი ინფორმაცია არ გასცა მომხდარის შესახებ. იმავე დღეს სანოძე სასწრაფოდ ისრაელში გადააფრინეს, სადაც მას თავის უმძიმესი ოპერაცია გაუკეთდა.

არაოფიციალურად, სანოძის დაჭრასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გავრცელდება – თითქოს, მან თვითმკვლელობა სცადა. არაოფიციალურად ითქვა ისიც, რომ სანოძე ბევრ ინფორმაციას ფლობდა და შეიძლება ამის გამოც სცადეს მისი თავიდან მოშორება.

ამ საქმეში ერთი საჭვო დეტალიც არის, საავადმყოფოს ტერიტორიაზე მობილიზებულმა პოლიციის მაღალჩინოსნებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ გენერალური ინსპექციის უფროსს ცუდი სიმთვრალე ჰქონია და, რომ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი პოლიციელი იმიტომ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ირინას უეცარი გარდაცვალება მაკვირვებს“

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდა და საქმეში ბრალდებული კიდევ ერთი პირი — დავით ქოქიაშვილი დააკავეს, რომელსაც ბრალს დღეს ან ხვალ წაუყენებენ. ამასთან, შესაძლოა, ამავე საქმეზე ბრალი წაუყენონ დათა ახალაიასა და ოლეგ მელნიკოვსაც.

სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, for.ge დეპუტატ შალვა შავგულიძეს ესაუბრა, რომელიც წლების განმავლობაში, გირგვლიანების ოჯახის ინტერესებს იცავდა.

— გირგვლიანის საქმეზე ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდა. კმაყოფილი ხართ, საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით?

— მერაბიშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თაობაზე ბრალი წარედგინა. ის, ფაქტობრივად, ამ დანაშაულში მონაწილე პირებს ფარავდა, მათ შეღავათიან პირობებს უქმნიდა და ცდილობდა, რომ მათთვის ბრალის წაყენება მსუბუქი კვალიფიკაციით მომხდარიყო. ამას გარდა, მერაბიშვილი სასჯელაღსრულების სისტემაში ბრალდებულთა კომფორტულ ყოფნას უზრუნველყოფდა და მათ მიმართ იჩენდნენ არაადეკვატურ ლმობიერებას, რაც მათ ვადამდელ გათავისუფლებაშიც გამოიხატა. ბრალდება იმაში მდგომარეობს, რომ ვანო მერაბიშვილი იყო რა შს მინისტრი, ის ამ საქმეზე ობიექტური გამოძიების ჩატარებას ხელს უშლიდა და ძალისხმევას მიმართავდა იმისკენ, რომ სრულფასოვანი გამოძიება არ ჩატარებულიყო.

ცნობილია, რომ თუ ბრალდებულები დანაშაულს თავის თავზე აიღებდნენ და შარდენბარის სუფრის წევრებს არ ამხელდნენ, მერაბიშვილი მათ მატერიალურ ანაზღაურებას გადასცემდა, რაც განახორციელეს კიდეც.

— ანუ თქვენ ეჭვს გამოთქვამთ, რომ საქმეში ბრალდებულად ცნობილი ოთხი პირი — ალანია-აფციაური-ღაჭავა-ბიბილური დავალებებს სუფრის წევრებისგან იღებდნენ?

— დარწმუნებული ვიყავი, რომ ლევან ბუხაიძისა და გირგვლიანის ცემა-წამებას მხოლოდ ოთხი პოლიციელი ვერ მოახერხებდა. მით უმეტეს, რომ ბუხაიძე თავის ჩვენებაში მიუთითებდა, რომ გენერალი ალანია მუდმივად მასთან იყო და კიდევ ერთი პირი, სხვები კი, მასთან პერიოდულად მიდიოდნენ. როგორ შეიძლება, სანდრო გირგვლიანი, რომელიც ძლიერი პიროვნება იყო, ორ პირს თან გაეკავებინა და თან მისთვის ნაჭერნაკვეთი ჭრილობა მიეყენებინათ, რომელიც მას სხეულზე უამრავი ჰქონდა? წამების დამადასტურებელი იყო ნაჭერნაკვეთი ჭრილობა, რომელიც მას სხეულზე პარალელურად ხუთი ჰქონდა, ხოლო პერპენდიკულარულად მეექვსე. ბუხაიძე სულ ამბობდა, რომ სანდროს ღრიალი მესმოდაო. დარწმუნებული ვიყავი, რომ წამებაში რამდენიმე პიროვნება მონაწილეობდა, რის გამოც ვითხოვდი, რომ ღამის 12 საათიდან დღის 12 საათამდე, სუფრის შვიდ წევრსა და ამ ოთხ პირს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის ამსახველი მასალის ამობეჭდვა მომხდარიყო. ასევე ვითხოვდი, რომ ბადრი პატარკაციშვილის სახლზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის ამოღება მომხდარიყო, რომელიც თბილისი-ოქროყანის ტრასაზე გადაადგილებას ასახავდა და მთელი ღამის განმავლობაში ჩაწერა ხდებოდა. საქმეში კი, ჩანაწერის მხოლოდ 7 წამის მონაკვეთია დარჩენილი. დანარჩენი არ გამოაჩინეს. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ იმ ოთხი პირის გარდა, ოქროყანაში ასულები სხვებიც იყვნენ და ამ დანაშაულთან კავშირი სუფრის წევრებს ჰქონდათ. ეს ეჭვი ევროპის სასამართლომ გაიზიარა.

— ევროპის სასამართლოს ვანო მერაბიშვილის ბრალეულობაზე რა პოზიცია ჰქონდა?

— ევროპული სასამართლო სხვადასხვა უწყების მიერ ჩადენილ უკანონობებს შეეხო, მაგრამ მინისტრთან დაკავშირებით ამბობს, რომ მერაბიშვილმა, რომელმაც იცოდა, რომ დათა ახალაია მოწმედ დასაკითხი პირი იყო, ამ საქმის გამოძიება მას არ ააცილა და უფრო მეტიც, გამოძიების ხელმძღვანელად დათა ახალაია დანიშნა. მინისტრის მხრიდან გონივრული გადაწყვეტილება მისი უწყებიდან საქმის გატანა იქნებოდა. ერთია, რომ ძალიან ცუდი დანაშაული იქნა ჩადენილი, მაგრამ, მეორე მხრივ, ევროპული სასამართლო გაოგნებული იყო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებების თანამშრომლობით, რომლებიც ცდილობდნენ, რომ მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო.

— რაც შეეხება თაკო სალაყაიას, მისი ბრალეულობა რაში იკვეთება?

— თუ გამოძიება დაადასტურებს, რომ ამ დანაშაულის შესახებ სალაყაიასთვის ცნობილი იყო — თუ ვინ ჩაიდინა და როგორ და მან ამის შესახებ არ განაცხადა, აქ სახეზე დანაშაულის დაფარვაა, თუ საუბარი არ იქნება თანამონაწილეობაზე. თუ დადასტურდება, რომ კონკრეტული პირები ბრიგადის წევრებს დავალებას აძლევდნენ, პასუხისმგებლობას თავიდან ვერავინ აიცილებს.

— ცოტა ხნის წინათ, ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ 43 წუთის განმავლობაში, სანდრო გირგვლიანის წამებას თაკო სალაყაიას ასმენინებდნენ. ამ ინფორმაციის შესახებ, თქვენ თუ გსმენიათ?

— სამწუხაროდ, ეს არ ვიცი და თუ ბატონმა ლევანმა თქვა, ე.ი მას ეს ინფორმაცია აქვს. არც ერთ ასეთ შემთხვევას არ გამოვრიცხავ, რადგან, როგორც ცნობილია, გამოძიება სხვა ფაქტებზეც მიმდინარეობს, სადაც სალაყაიას პერსონა ასევე ფიგურირებს. კერძოდ, რესტორანში ანალოგიური ვითარება მოხდა, სადაც სალაყაიას კონფლიქტი მოუვიდა, შემდეგ ბრიგადა გამოიძახეს და ერთ-ერთი დასჯილი პირი პოლიციის თანამშრომელი აღმოჩნდა, რომელსაც ჯანმრთელობა სერიოზულად დაუზიანდა და დეფექტები აქვს. ამ პირის გვარი არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ მთაწმინდის პოლიციის ხელმძღვანელი იყო.

— მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე ბრალდებული პირები სამხედრო ამნისტიით გათავისუფლდნენ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ მას ირინა ენუქიძის ნახვა სურდა...

— მისი მხრიდან ეს ფარისევლობა და უკადრებელი საქციელია. ცნობილია, რომ მან ეს პირები ინდივიდუალური შეწყალების აქტით გაათავისუფლა და არა სამხედრო ამნისტიით. ამასთან, აღსანიშნავია ტოტალური სიყალბე, რომელსაც წინა ხელისუფლება არ ერიდებოდა. კერძოდ, პრეზიდენტის შეწყალების შემდეგ, პატიმრის შესახებ ცნობა კეთდება, სადაც დანაშაულის შინაარსის თაობაზე სპეციალური გრაფაა და იქ ამ პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია კი არ ეწერა, არამედ დაწერეს, რომ ამ პირებს ბრალად ედება — სხეულის დაზიანება, რამაც სიკვდილი გამოიწვია, ანუ მათზე ეწერა, რომ ისინი იყვნენ რა შს სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები, მათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სხვა პირს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამით კი, მათ ხელფეხი გაიხსნეს და დოკუმენტებიც გააყალბეს.

— რაც შეეხება ირინა ენუქიძეს, მას სჯეროდა, რომ სამართალი „პურს ჭამდა“?

— გირგვლიანების ოჯახი და ჩვენ, ვაკეში გვერდი-გვერდ ვცხოვრობდით. ირინას მამა ჯიმშერი ბიძია და მამაჩემი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. ირინა კი, ჩემზე ორი წლით უფროსი იყო და ერთად გავიზარდეთ. ამ ტრაგედიის შემდეგ, ორი აზრი არ იყო, რომ მათი ოჯახის ინტერესების დამცველი მე ვიქნებოდი. ევროპის სასამართლოში ეს საქმე ერთად გადავაგზავნეთ და მითხრა, რომ რაღაც აწუხებდა. არადა, ძალიან ჯანმრთელი გოგო იყო. მისი ასე უეცარი გარდაცვალება მაკვირვებს. შეიძლება მისმა ორგანიზმმა ამხელა სტრესს ვერ გაუძლო.

— თუმცა, მისი გარდაცვალების თაობაზე საზოგადოებაში სხვადასხვა ვერსია გაჟღერდა...

— ვერსია იყო, რომ სასაფლაო ხომ არ მოწამლეს, სადაც სანდროს საფლავზე ირინა საათობით დამხობილი იყო. ამის მტკიცებულება არ მაქვს და ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ირინას ბავშვობიდან ვიცნობ და ის ერთ-ერთი ძალიან ლამაზი და ჯანმრთელი გოგო იყო, რომელიც ასე უეცრად ცუდად გახდა. იმ დღეს მითხრა, რაღაც მაწუხებს და მითხრეს, დაწოლა სჯობსო. ასევე მითხრა, რომ პანკრეასი მაქვსო. ველოდი, რომ გამოკეთდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, აღარ გამოკეთებულა. მან იცოდა, რომ საქმის ბოლომდე მისაყვანად ყველაფერს გავაკეთებდით. ასე გვჯეროდა ერთმანეთის და მის ნდობასა და რწმენას მთელი საზოგადოება არ გაამტყუნებს.

თეონა მანაგაძე

◎ „მუნჯები“ ალაპარაკდნენ

ალაპარაკდა

უცემია სიმთვრალისას, რომ ის ვერ უცვნია და შეკამათება მოსვლია.

გარდა ამისა, ერთ-ერთი ვერსიით, ვასილ სანოძე მეგობრებთან ერთად რესტორან „პურის სახლში“ იმყოფებოდა, სწორედ აქ მოხდა დაპირისპირება ძალოვანებს შორის, კერძოდ დათა ახალაიასთან. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გავარდნილი იარაღიდან ტყვია მაინცდამაინც საფეთქელში როგორ მოხვდა, ამ საეჭვო ფაქტზე კითხვები ამ დრომდე არ არსებობს.

For.ge-ს ინფორმაციით, დაპირისპირება დათა ახალაიასა და ვასილ სანოძეს შორის მაშინ დაიწყო, როდესაც „ტყის ძმების“ მეთაურმა დათო შენგელიამ საპატიმრო 2010 წლის მიწურულს დატოვა. დავით შენგელიას ციხიდან გაშვების შუამდგომლობით 2010 წლის 31 დეკემბერს თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჭაკუა გამოვიდა, რაც ძალზედ იშვიათი შემთხვევაა. ყველაზე საინტერესოა, რომ პატიმარი შენგელია ციხიდან იმავე დღეს გაათავისუფლეს, რაც ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტია. ოფიციალური ინფორმაციით, შენგელია კონტრაბანდის, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს და 24 წლით პატიმრობა შეუფარდეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ინციდენტი „ტყის ძმების“ მეთაურის დათო შენგელიას ციხიდან გამოშვებას უკავშირდება. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, აფხაზეთში სიტუაციების განვითარებას სანოძე კურირებდა. შენგელიას ციხიდან გამოშვების შემდეგ დათა ახალაიამ მისი „ჩამოლაბორანტება“ გადაწყვიტა და აფხაზეთის მიმართულებით, კერძოდ, გალის რაიონის კურატორობა დათო შენგელიას გადააბარა.

სწორედ ეს გახდა მიზეზი სანოძე-ახალაიას დუეტის დაპირისპირების. დაპირისპირებაში უშუალოდ შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ჩაერია, რომელმაც ამ დაპირისპირებაში მხარი დათა ახალაიას დაუჭირა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის მაგიდაზე ვანო მერაბიშვილს დასაჭერი პოლიციელების სია დაუდეს და იმ სიაში უმეტესობა სწორედ სანოძის საძმაკაცოდან იყო.

ჩვენი წყაროს ცნობით, ამ გზით მერაბიშვილმა სანოძის პოზიციები შეასუსტა. სანოძემ კი მერაბიშვილსა და ახალაიას სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დეტალები შეახსენა და, როგორც ამბობენ, სანოძემ გარკვეულ წრეებში გირგვლიანის მკვლელობის დეტალებზე დაიწყო საუბარი.

გელა ხურციძე

◎ ალიან-ჩალიანი

სენაკის გამგებელმა თანამდებობა დატოვა

სენაკის საკრებულომ გადადგომის თაობაზე სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის თენგიზ ადამიას განცხადება დააკმაყოფილა. ადამიას განცხადებას მხარი საკრებულოს 22-მა წევრმა დაუჭირა.

საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ შეასრულებს გამგებლის მოვალეობას. სავარაუდოდ, ეს იქნება გამგებლის ერთ-ერთი მოადგილე.

სხდომას ესწრებოდნენ საზოგადოება „სენაკელის“ წარმომადგენლები, რომლებმაც მოითხოვეს, რომ გამგებლის დანიშვნა გამჭვირვალედ მოხდეს და დანიშვნა შეთანხმებული იყოს საზოგადოებასთანაც.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №204

რატომ ვერ ჩავდივართ ვერასოდეს ევროპაში როგორც ევროპელები

საქართველო თავის თავს ევროპას მიაკუთვნებს.

არგონავტებსა (აპოლონიუს როდოსელი) და მედეაზე თქმულებებსა და მითებში ირეკლება ადრეული კონტაქტები ეგეოსის ზღვის კულტურებსა და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხთა შორის.

კავკასიელ ხალხთა ძველ ხმელთაშუაზღვისპირულ კულტურას (არა უგვიანეს 3000 წლისა, ქრისტემდე) ევროპასთან გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა. არის მინიშნებანი, რომ ჯერ კიდევ ისტორიული მაღალი კულტურების გაჩენამდე, რომლებიც აღმოსავლურ-დასავლურ კულტურებად იყვნენ დიფერენცირებული, ძველ ევროპულ – ხმელთა შუა ზღვის ბევრად უფრო ადრინდელი ევროპული კულტურა არსებობდა.

საქართველოს არ მიესადაგება რადიარდ კიპლინგის „აღმოსავლურ-დასავლური ბალადის" საწყისი სტრიქონები: „ოჰ, აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთი დასავლეთია, და ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს".

უკვე მე-12 საუკუნეში დაწერილ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" მოიპოვება სპარსული ფილოსოფიის, მითების, გადმოცემების მრავალფეროვანი გავლენები.

ზღვებს მიღმა ტერიტორიებზე გადაჭიმულმა ამ იმპერიის ვეებერთელა სივრცემ უხილავი გახადა მრავალწლიანი და აღმოსავლეთთან მუდმივი გაცვლა-გამოცვლაში მყოფი ევროპა. ევროპულობა ნიშნავს შიგნით მრავალფეროვნებას, უსასრულო დიფერენცირებასა და ინდივიდუალიზირებას, გარეთ კი იგი განუწყვეტელი თვითგადალახვითა და ახალ-ახალი კულტურული სინთეზებით არის აღბეჭდილი. თვითდამკვიდრების ნების სათანადო დოზაც ანგარიშში ჩასაგდებია, ამ დროს ამ თვალსაზრისით ქართულ კულტურას აუცილებლად ევროპული უნდა უწოდოს.

* * *

თავისი მითიური ფესვებისა და ძველ ევროპულ კულტურასთან მათი გადახლართულობისაგან დამოუკიდებლივ, ქართველური სახელმწიფოებრიობის საწყისებს, ქრისტემდე მე-12 და მე-7 საუკუნებამდე, შეიძლება მივადევნოთ თვალი. მე-6 საუკუნეში კოლხეთის სახით წარმოიქმნა პირველი სახელმწიფოებრივად ორგანიზებული მაღალი კულტურა, რომელიც მხოლოდ ეთნიკურ ნიადაგზე აღარ იყო დაფუძნებული. ამდენად, სახელმწიფო, ენა და რელიგია მზარდი ზეშთაგონებულობის პროცესის ეტაპებს მონიშნავენ, მაგრამ ამავე დროს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასაც მოასწავებენ, რასაც ფარნავაზის ხანაში ქართლის სამეფოს დაარსების გზით, 33 წელს მირიანის მეფობისას, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე მივყავართ.

იბეჭდება შემოკლებით

ფრანკ ტრემელი

ამის მიუხედავად, ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი რჩება დიდი ადგილობრივი მრავალფეროვნება და სხვადასხვა წინარე სახელმწიფოებრივი სამართლის ფორმებისა და წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენების, ადათებისა და ჩვეულებების შენარჩუნება. არაქრისტიანული რელიგიების შემწყნარებლობა ქართული სახელმწიფოს აყვავების ხანაში დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობისას ლამის საანდაზოდ არის ქცეული. ქართული პატრონყმობა მე-11 და მე-12 საუკუნეებში ძალიან მოგვაგონებს დასავლელ ევროპულ ფეოდალურ ადათ-წესებს. ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, როგორ აისახა ეს ქართულ სამართალმცოდნეობაში. ქართული კულტურა მარტო მუსიკალურად როდია პოლიფონიური, პოლიფონიურობა არის ყველაზე სრულყოფილი გამოხატულება ევროპეიზმისა, ანუ ეს არის გამოცდილებისმიერი საზღვრის გადალახვისკენ ჩვენი სწრაფვის პლურალისტური ობიექტივიზაცია.

ჩვენ კვლავ და კვლავ მივილტვით სამშობლოსაკენ, მაგრამ კვლავ და კვლავ „სულიერ ცხოვრებაში" აღმოვჩნდებით ხოლმე. როცა დღეს „ევროპისკენ მიბრუნებაზეა" ლაპარაკი, მხოლოდ ეს შეიძლება იგულისხმებოდეს. ევროპა ის სინამდვილეა, რომელიც თავის თავში შეიცავს თავისივე თავის გასვლას.

„ევროპელი ადამიანი" მისთვის საუკეთესო ეპოქებშიც არ გამოირჩეოდა იმით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს ჩაბღაუჭებოდეს, მოცემულსა და უშუალო ფაქტებს.

იდეისა და სინამდვილის ეს დაძაბულობით აღსავსე გაგება განსაზღვრავს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს.

ადგილობრივი ინტიმის საზღვრის გამუდმებული გადალახვა, ანუ პროექციის უნარის მქონე ჩვენი გონება არის ის, რაც საზოლოოდ მსოფლიო საზოგადოებას წარმოშობს. მაგრამ ვიდრე ადამიანის სასრული, ანუ სივრცისა და დროის მიხედვით ორგანიზებული არსებაა, მას სჭირდება კულტურა, ანუ, სჭირდება ცხოვრება კონკრეტული, თვალსაჩინო ფორმა. ეს არის ვაჟაფშაველას ანთროპოლოგიაც და შემდეგ, რაც კავკასიური ტომების სამართლებრივ ცხოვრებაშიც გვხდება. ამ აზრით, ალუდა ქეთელაურიც უეჭველად ევროპული სულის წარმომადგენელია. ევროპისკენ უკან დაბრუნება აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ უცხოეთში საკუთარის და საკუთარში უცხოს არსებობა ეცნოთ, ერთმანეთი ჩვენი საკუთარი საზღვრების გადალახვისათვის შევაგულიანოთ, მოგზაურობისთის, რომელსაც დანიშნულების ადგილზე ჩასვლა არ მოსდევს.

ფრანკ ტრემელი,
კულტუროლოგი.

(გერმანულიდან თარგმნა ლევან ბრეგაძემ).

„ჩემი საქართველო აქ არი"...

ანონსი რამდენიმე დღით ადრე გვაუწყებდა:

2013 წლის 25 ივნისს, საღამოს 5 საათზე, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" საექსპოზიციო დარბაზში საქართველოს ოჯახები თავიანთ ყველაზე ძვირფას რელიკვიებს – საოჯახო ალბომებს გამოფენენ.

ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტი წარსულში და დღეს. საოჯახო ალბომები შთამომავალთა კომენტარებით... ვაჩვენებთ ექსკლუზიურ ვიდეომასალას, შესრულებული იქნება მშვენიერი მელოდიები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II რამდენჯერმე მიმართა მრევლს: შეადგინონ საგვარეულო გენეალოგია, არ გაწყვიტონ კავშირი იმქვეყნად წასულ წინაპრებთან, ვინაიდან „არსებობს სულთა კავშირი გარდაცვლილთა და აქ დარჩენილთა შორის"...

ჩვენი და მათი ერთად ყოფნის მისტერია...

გეპატიჟებით გადაცემა „ქართული ალბომის" საგამოფენო ვერსიაზე. თქვენ იქ ნოსტალგიურ გარემოში მოხვდებით...

25 ივნისს, საღამოს ხუთ საათზე, მართლაც, უჩვეულო სამყაროში აღმოვჩნდით: დები იშხნელების სიმღერების ფონზე, მწვანე მაუდგადაკრულ დაფებზე, მოლბერტებსა და ვიტრინებში თითქოს გარინდებულიყო წარსული – ჩვენი წინაპრების ცხოვრების წესი, ურთიერთობის კულტურა, მათი დაუწერელი ბიოგრაფიები. ფოტოები ექსონირებული იყო სწორედ იმ ფორმით, როგორც ინახება მათი შთამომავლების ოჯახებში: ალბომებში, შუშებში, ჩარჩოებში...

დამთვალიერებელთა განწყობილება გარდა იმისა, რომ გარკვეული თვალსაზრისით, სალონური გახლდათ, პუბლიცისტურ ელემენტებსაც ატარებდა, რადგან ოჯახის ინსტიტუტისადმი დამოკიდებულება დღეს ძალიან აქტუალური თემაა. საზოგადოების რეაქციებზე ჩანდა, რომ საქართველოში ტრადიციული და მყარი ოჯახის მნიშვნელობა არ ჩაენაცვლება ე.წ. „ექსპერიმენტულით". ამასვე მოწმობდა ციტატები – საექსპოზიციო სივრცეში შეტანილი, ცნობილ წმინდანთა გამონათქვამები ქრისტიანული ოჯახის დანიშნულებაზე.

თემამ დარბაზში გადაინაცვლა, სადაც ეს ყოველივე უფრო სიღრმისეულად დეკანოზმა ზურაბ ცხოვრებაძემ ჩამოაყალიბა.

შთამბეჭდავი ფილმის შემდეგ, რომელიც ერთი წლისწინანდელ ანალოგიურ შეხვედრას ეძღვნებოდა, განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ბურამ ბენაშვილის გამოსვლა.

– მოგვენატრაო ამგვარი, სულიერებით და გონიერებით გაჯერებული საუბრების მოსმენა – გადმომილაპარაკა გვერდით მჯდომმა სიმპატიურმა მანდილოსანმა.

საღამო გამორჩევით ინტელიგენტურად მიჰყავდათ საპატრიარქოს ტელევიზიის თანამშრომლებს ნატო გაგუნიას და გიორგი მერებაშვილს. მათ რამდენიმე სიურპრიზი შესთავაზეს მაყურებელს.

გთავაზობთ ამონარიდებს წამყვანების სიტყვებიდან ანუ თვალი გავადევნოთ საღამოს დინამიკას:

– „ისევ ვხვდებით ერთმანეთს უკეთესი დღეების მოლოდინში...

უკეთესი დღეების მოლოდინში ერთმანეთს ხვდებიან ქართული ოჯახებიც... გრძელდება ჩვენი ერთ-ერთი გადაცემაც „ქართული ალბომი", რომელიც უკვე მესამე წელია, გადის საპატრიარქოს ტელევიზიის ეთერში. ყოველი წლის ბოლოს კი, ტრადიციულად გთავაზობთ „ქართული ალბომის" საგამოფენო ვერსიას. დღეს იმ ქართული ოჯახების ფოტორელიკვიებია გამოფენილი, ჩვენს გადაცემებში რომ მონაწილეობდნენ.

ტელეგადაცემა „ქართული ალბომი" – ქართული ოჯახების მატიანე დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც 2010 წლის 28 აგვისტოს, მარიამობას, საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მრევლს მოუწოდა, რომ შეადგინონ საკუთარი ოჯახების გენიალოგიური შტო, აღიდგინონ წინაპართა სახეები და ხსოვნა.

დარბაზში ალბათ ხედავთ, რომ ჩვენი გადაცემების პერსონაჟები ბრძანდებიან თავიანთ ახლობლებთან ერთად. ქალბატონი **როდამ ჯანდიერი** წარსდგება თქვენს წინაშე, კონსერვატორიის პროფესორი და ასევე ჩვენი ერთ-ერთი გადაცემის პერსონაჟი,ერეკლე მეფის პირდაპირი შთამომავალი".

მევიოლინემ, ერეკლე მეფის შთამომავალმა, რომელიც ერთი თავმდაბალი, მოკრძალებული ქალბატონი აღმოჩნდა, პირადად ჩემში უსაზღვრო სევდა აღძრა და „ვაჰ, დრონი, დრონის" თემაზე ჩამაფიქრა. მაყურებლისთვის განსაკუთრებული სიურპრიზი აღმოჩნდა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ჩემი საქართველო აქ არი“...

მღერის ანსამბლი „მძლევარი“.

შემდგომი, საკმაოდ უჩვეულო წარდგინება:

– „ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ოჯახური ტრადიციების შესახებ, ოჯახური ურთიერთობის ხიბლზე... ახლა კი გვინდა გაგაცნოთ ერთი ძალიან ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც არასოდეს უგრძვნია, თუ რა არის ოჯახური კერიის სითბო... მან თავისი ნამდვილი სახელი და გვარიც არ იცის, არც ის, ვინ იყო მისი დედა და მამა. ოთხ წლამდე კიევის ბავშვთა სახლში იზრდებოდა. მერე ჭიათურიდან ჩასულმა ცოლ-ქმარმა ჩამოიყვანეს საქართველოში. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, რამდენიმე წლის მანძილზე უვლიდა მწოლიარე ავადმყოფ დედობილს და მისი სიკვდილის შემდეგ სრულიად მარტო დარჩა. ამჟამად მთაწმინდის უბანში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და თავს ირჩენს სიმღერით. მღერის ქუჩაში,მეტროს გადასასვლელებში... მას არასოდეს უგრძვნია ოჯახური სითბო, ნათესაური ურთიერთობები, მაგრამ არც საქართველოდან წასვლა უფიქრია როდესმე. ჩვენ ვიტყოდით,რომ ის ჩვენი დიდი ოჯახის – საქართველოს შვილია და ვთხოვთ, აქ შეკრებილ ქართულ ოჯახებს სწორედ ასეთად წარმოიდგინონ იგი, როგორც არა საქართველოს შვილობილი, არამედ საქართველოს შვილი. მისი ნათლობის სახელია **ზაზა.** საპატრიარქოს ტელევიზიის თანამშრომლები ვმეგობრობთ მასთან და იგი ჩვენი ერთ-ერთი მომავალი გადაცემის გმირიცაა. სხვათა შორის, ეს მისი პირველი გამოსვლაა სცენაზე“.

რამდენიმე წამში სცენაზე ავიდა გამხდარი, მწვანეთვალება ბიჭი, მომხიბლავი ღიმილით, თუმცა ტკივილები, რომელიც ცხოვრების გზაზე შეხვედრია და ის სირთულეები, რაც ამჟამად მის ყოფას ახლავს, მის ამბიტუსზე იგრძნობოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში მიკროფონი სათანადოდ არ იყო გამართული და მთელი საღამოს მანძილზე უადგილოდ ხმაურობდა, ანუ შეიძლება ითქვას, გამომსვლელს პირიქით, ხელს უშლიდა, მომღერლის დებიუტი წარმატებით შედგა, გამოიკვეთა მისი ინდივიდუალობა და ხასიათი. ვინ იცის, ალბათ დადგება დრო რომ, ის შემდგომ ცნობილი მომღერალი, სიამოვნებით გაიხსენებს თავის პირველ გამოსვლას საპატრიარქოს ტელევიზიის სცენაზე და ესოდენ კეთილგანწყობილ მაყურებელს..

საღამოს ფინალური აკორდები ვაუთა ანსამბლმა „მძლევარმა“ შეასრულა (ხელმძღვანელი პახა ონაშვილი). ეს გახლდათ მართლაც, ძლიერი, ჰარმონიული, ნიჭიერებით დაღდასმული ბავშვების კრებული. როგორც ამბობენ, მაყურებელი გუნდის ნამღერზე გრძნობსო პახა ონაშვილის ხელს. მართლაც, ეს სრულიად ახალგაზრდა კაცი (გარეგნულად ასე ჩანდა), საკუთარ დიდ პროფესიონალიზმს, გამოცდილებას, ეროვნული ღირსების გრძნობას უშურველად გადასცემს ამ საოცარ ბიჭებს და როდესაც ისინი მღერიან „მრავალჟამიერს“, აფხაზურ სიმღერას თუ, „ჩემო კარგო ქვეყანას“, გჯერა ამ ცნობილი სიტყვების რეალობისა:

დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე განმარტავს ქრისტიანული ოჯახის ტრადიციების მნიშვნელობას.

„ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს
მომავალი შენია“...

საღამოს დასკვნით ნაწილში ანსამბლ „მძლევართან“ ერთად, სცენაზე ქართული ოჯახების ყველაზე პატარა წარმომადგენლები ავიდნენ.

– ვისაც მარტო ამოსვლა არ შეუძლია, ბებია-ბაბუებმა ამოიყვანოსო – განაცხადა საღამოს წამყვანმა და სცენაზე, სიმბოლური სახით და „ჩემი საქართველო აქ არის“ გოგი დოლიძის ნამღერის ფონზე თითქოს საქართველოს მომავალი იდგა.

ძალიან ეფექტური იყო დაახლოებით 10 წლის, ულამაზესი ბიჭუნას გამოთქმით და დამოკიდებულებით წარმოთქმული – „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი“...

ჯერ კიდევ როდის, დუტუ მეგრელს წარმოუთქვამს დღეს ასე მტკივნეულად აქტუალური სიტყვები: „მე პატარა ქართველი ვარ, ღირსეული ერის შვილი“...

ბოლოს მაყურებელმა ისევ საექსპოზიციო სივრცეში გადაინაცვლა, მათი ღირსებით სავსე წინაპრების ფოტოებზე აღბეჭდილ მზერას გაუსწორეს თვალი... დარბაზში ისევ ისმოდა ლაიტმოტივად ქცეული სიტყვები და მელოდია – „ჩემი საქართველო აქ არი“...

მანანა გოგოტიშვილი.

უკრავს ერეკლე მეფის შთამომავალი როდამ ჯანდიერი.

ზაზას (სამირის) შთამბეჭდავი დებიუტი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კახა კუკავა:

ნატოში საქართველოს საკითხი არც კი განიხილება...

For.ge-ს პრეს-კლუბის სტუმარი იყო პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა, რომელმაც ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. თავდაპირველად მან ისაუბრა პაატა ბურჭულაძის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში სავარაუდო მონაწილეობაზე. კუკავას თქმით, ბურჭულაძის მიერ, ჯერჯერობით, არანაირი გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ საზოგადოებაში მის მიმართ არის უდიდესი მხარდაჭერა და, თუკი იგი გადაწყვეტს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, ამის შემდეგ დაიწყება პოლიტიკური პროცესი და საარჩევნო კამპანია.

— რაც შეეხება იმას, თუ რატომ ბატონი პაატა, რომელიც პოლიტიკოსი არ არის, ამასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ჩნდება. მინდა ვთქვა, რომ მართალია ქვეყნის პირველ პირს ძალიან ბევრი რამ მოეთხოვება, მათ შორის პოლიტიკური გამოცდილება, მაგრამ ამავდროულად, პირველ პირს მოეთხოვება ის, რაც ქართველ პოლიტიკოსებს საერთოდ დაავიწყდათ და ეს არის პრინციპულობა. სამწუხაროდ, არსებული საპრეზიდენტო კანდიდატები ძირითადად თავიანთი უპრინციპობით არიან ცნობილები, რის გამოც სხვადასხვა ეტაპზე ქართულ საზოგადოებას ამ ადამიანების მიმართ ნდობა აქვს დაკარგული. რომ ამოიღოთ ამ ადამიანების ორი წლის წინანდელი გამონათქვამები, აღმოაჩენთ, რომ ზუსტად იმის საწინააღმდეგოს საუბრობდნენ, რასაც დღეს ამბობენ. ოთხი წლის წინ კიდევ იმის საწინააღმდეგოს ამბობდნენ და ა. შ. — აცხადებს კახა კუკავა.

ქართული საზოგადოება და პირადად კუკავაც პრეზიდენტის პოსტზე ეძებს ისეთ ადამიანს, რომელიც იქნება პრინციპული, თუნდაც არ ჰქონდეს პოლიტიკური გამოცდილება. კახა კუკავა ამბობს, რომ სწორედ ამ პარამეტრების მიხედვით გამოხატა ქართულმა საზოგადოებამ ნდობა პაატა ბურჭულაძის მიმართ, რომელსაც კუკავას თქმით, ყველა სოციოლოგიურ გამოკითხვაში პრეზიდენტობის დანარჩენ კადიდატებზე ბევრად დიდი რეიტინგი აქვს. კუკავა ამბობს, რომ საქართველოში უნდა დასრულდეს მასწავლებელი პრეზიდენტების ერა.

— ბატონო კახა, როდესაც ამბობთ „ჩვენ“, ვის გულისხმობთ ამაში? გაქვთ თუ არა კონსულტაციები სხვა პოლიტიკურ პარტიებთან?

— კონსულტაციები არის, უბრალოდ მე არ მინდა ძალიან ვიჩქარო, ვიდრე ბატონი პაატას მიერ ეს გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, რათა ტყუილად არ გავხსნათ კამპანია და შემდეგ უპატარძლო ქორწილი არ გამოვიდეს. ამიტომ დაველოდოთ ბატონ პაატას გადაწყვეტილებას. უბრალოდ გეტყვით იმას, რა ინფორმაციაც გამაჩნია, მაგრამ გვარებს და სახელებს ნუ ჩამომათვლევინებთ. მე მისაუბრია ძალიან ბევრ პოლიტიკურ პარტიასთან, მათ შორის მმართველ კოალიციაში შემავალ პარტიებთან და ვიცი, რომ ბატონი პაატას მიმართ ძალიან პოზიტიური განწყობაა. არ გამოვრიცხავ, თუკი ბატონი პაატას კანდიდატურა დადგება, „ქართული ოცნების“ 6-დან მინიმუმ ორმა სუბიექტმა მხარი სწორედ ბატონ პაატას დაუჭიროს და არა მარგველაშვილს. ეს არის ძალიან ძლიერი განწყობები და იმედი მაქვს, რომ ბატონი პაატა ამ ყველაფერს ანგარიშს გაუწევს.

— შეძლებს პაატა ბურჭულაძე, რომ ძლიერი და დამოუკიდებელი პრეზიდენტი იყოს?

— პრეზიდენტის პოსტი ახალი კონსტიტუციის მიხედვით, პრინციპში არც გულისხმობს ხელისუფლების მმართველობას, ანუ, ის არ იქნება მთავრობის მეთაური. ნუ წარმოვიდგენთ, რომ პაატა ბურჭულაძის საქმე იქნება მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება, კანონების დაგეგმვა და ა.შ. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არის დაახლოებით იგივე ფუნქციების მატარებელი, რაც არის კონსტიტუციური მონარქი დიდ ბრიტანეთში, ან ესპანეთში. იგი უნდა იყოს ერის გამაერთიანებელი სიმბოლო. მოდით ამ პარამეტრებით შეხედეთ, ვინ უფრო შეძლებს ქართველი ერის გაერთიანებას და ვინ შეიძლება იყოს დაოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სიმბოლო — პაატა ბურჭულაძე, თუ ნებისმიერი სხვა კანდიდატი?

პოლიტიკური გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ჩვენ რომ ვსაუბრობდეთ პრემიერ-მინისტრზე, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსურ სტაბილურობაზე, თავდაცვისუნარიანობაზე, მაგრამ ეს ფუნქციები ახალი კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს აღარ უკავშირდება და ესეც გასათვალისწინებელია. ევროპის ქვეყნებს რომ გადახედოთ (არა მხოლოდ კონსტიტუციურ მონარქიებს, არამედ საპარლამენტო რესპუბლიკებსაც), იქაც მაინცდამაინც, პოლიტიკური ნიშნით არ ირჩევენ პრეზიდენტს, ზოგან ის მეცნიერია, ზოგან - ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ა.შ. ამდენად, უფრო მორალური ავტორიტეტის მქონე პირებს ირჩევენ პრეზიდენტად, ვიდრე მოქმედ პოლიტიკოსებს.

— ბატონო კახა, როგორ შეაფასებდით რასმუსენის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნატოს კარი საქართველოსთვის ღიაა, მაგრამ ISAF-ის მისიაში მონაწილეობა არ არის ბილეთი ნატოში?

— მიმაჩნია, პაატა ბურჭულაძის პრეზიდენტად არჩევა ქართული საზოგადოებისთვის იმიტომაც არის კარგი, რომ ჩვენი ხალხი თავის თავს უნდა დაუბრუნდეს. უკვე 22 წელია შევარდნაძის, სააკაშვილის და დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ჩვენ რაღაც ვირტუალურ საგიჟეში ვცხოვრობთ, დაახლოებით ისე, როგორც ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში დისიდენტებს რომ აპატიმრებდნენ და ეუბნებოდნენ — შენ ეს არ ხარ, შენ სხვა ხარ.

> ** კოჰაბიტაციაში ბრალი უნდა წავუყენოთ არა „ნაციონალურ მოძრაობას“ (ისინი ამ შემთხვევაში კოჰაბიტაციის და ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან), არამედ „რესპუბლიკურ პარტიას“. უნდა დასრულდეს მათი საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენას და მთავარ პოლიტიკურ ოპონენტად დარჩენას ისურვებენ, ხოლო თუ ასე არ მოხდა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, დავიწყებთ „რეპუბლიკური პარტიის“ პიკეტირებასაც.**

არაერთხელ მითქვამს, რომ ნატოს თემა არის მოგონილი. ამას ადრე მარტო ვამბობდი, მერე გამოჩნდა მეორე პარტიაც, რომელიც ამას ამბობდა, ახლა კი ბევრი პარტია აღიარებს ამას. ნატოში საქართველოს თემა საერთოდ არ განიხილება. ჩემი პოლიტიკური თანამდებობა მაძლევს იმის საშუალებას, რომ მქონდეს არა მხოლოდ ოფიციალური, არამედ მეგობრული ურთიერთობაც ძალიან ბევრ ევროპელ და ამერიკელ დიპლომატთან და როდესაც ვიდეოკამერის მიღმა ეკითხები ნატოში საქართველოს პერსპექტივებზე, ისინი სიცილით კვდებიან, რადგან საქართველოს საკითხი არ განიხილება და მინდა ეს ჩემმა საყვარელმა ქართველმა ხალხმა იცოდეს.

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ რასმუსენს, რომელმაც თითქმის გულწრფელად თქვა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი არ განიხილება, მაგრამ ქართველი პოლიტიკოსები უბრალოდ დასცინიან ქართველ ხალხს, როდესაც ამბობენ, რომ ნატოში შევალთ. ასევე მოვისმინე განცხადება, რომ საქართველო მაპ-ის გარეშე შევა ნატოში. ამ დროს შეუძლებელია, არ გაგახსენდეს ორი წლის წინანდელი განცხადებები მაშინდელი ხელისუფლებისა, რომლებიც ამბობდნენ, რომ მაპ-ზე უკეთესი მივიღეთ. მინდა ქართველ ერს დარწმუნებით ვუთხრა და 100%-იანი გარანტია მივცე, რომ საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება.

— მაშინ რატომ საუბრობენ ქართველი პოლიტიკოსები ამაზე?

— ჩვენი პოლიტიკოსების მხრიდან ეს ერთგვარი ლოიალობის თემაა, რათა დასავლელ პოლიტიკოსებს დაუმტკიცონ, რომ ჩვენ ლოიალურები ვართ. ყველა დროში ლოიალობის რაღაც გამოხატულება არსებობს. შუა საუკუნეებში ლოიალობის პარამეტრი იყო ისლამი. თუ ჩვენს მეფეებს ირანის შაჰის, ან ოსმალეთის სულთნის მიმართ სურდათ საკუთარი ლოიალობის გამოხატვა, ისინი ისლამს იღებდნენ. დღეს ამ ფუნქციას ასრულებს ნატო, ლგბტ და შენი დამოკიდებულება რაღაც საკითხების მიმართ. რასმუსენს მართლა ის კი არ აინტერესებს, აქ 17 მაისს გაუკულმართებული ორიენტაციის მქონე რამდენიმე ადამიანი რუსთაველზე გავლიდა თუ არა (ამით გლობალურ პოლიტიკაში არაფერი იცვლება), უბრალოდ ეს ლოიალობის გამოხატულებაა, როგორც შუა საუკუნეებში ისლამი. აქედან გამომდინარე, ქართველი პოლიტიკოსები დასავლეთისადმი თავისი ლოიალობის გამოხატვაში ერთმანეთს ასწრებენ.

— ასეთი ლოიალობის გამოხატვა რეალურად ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლურ განწყობებს ქმნის, რადგან დასავლეთი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ისეთ ღირებულებებთან ასოცირდება, რაც ქართველებისთვის მიუღებელია. რატომ ხდება ასე?

— აბსოლუტურად გეთანხმებით და მე არაერთხელ მიცდია, რამდენიმე წლის განმავლობაში ამერიკელი და ევროპელი დიპლომატებისთვის ეს ამეხსნა. თავის პოლიტიკურ მოხსენებებში ისინი სააკაშვილს წარმოაჩენდნენ, როგორც პროამერიკელ და პროდასავლელ პოლიტიკოსს, ხოლო გაერთიანებულ ოპოზიციას, როგორც პრორუსულს. არაერთხელ მიცდია მათთვის ამეხსნა, რომ პრორუსული სწორედ სააკაშვილია, არა იმ გაგებით, რომ სააკაშვილი რაღაც დავალებებს იღებს მოსკოვიდან, უბრალოდ, საბოლოო ჯამში, ასე გამოდის. პროდასავლურობის აგრესიული ფორმა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ატარებდა და ამ კურსს ნაწილობრივ აგრძელებს დღევანდელი ხელისუფლება, საქართველოში ანტიდასავლურ განწყობებს იწვევს.

დაახლოებით 10 წლის წინათ საქართველოში ვერ ნახავდით რესპონდენტს, რომელიც ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებთან დაკავშირებით ოდნავ მაინც ინდიფერენტულ შეფასებას გააკეთებდა. ამ ქვეყანაში მოსახლეობის 100% პროამერიკელი იყო. დღეს კი ვითარება რადიკალურად შეცვლილია სწორედ იმ აგრესიული და ველური ფორმების გამო, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ ამერიკისა და ნატოს პროპაგანდისთვის გამოიყენა. ეს ტენდენცია გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მიერ დღესაც გრძელდება, მაგრამ ამის ახსნა ჩემი ამერიკელი მეგობრებისათვის ვერ შევძელი (ევროპელები ამ საკითხს ცოტა უფრო გაგებით ეკიდებოდნენ), რადგან იმპერიას აქვს თავისი პოლიტიკა. რუსეთი, ამერიკა, ჩინეთი, ოსმალეთი, ირანი — ეს არის იმპერიები, რომლებსაც თავიანთი ფსიქოლოგია აქვთ. მათ არ აინტერესებთ ის, რომ ქართველ ხალხს თავი მოაწონონ. მათი ინტერესია ის, რომ ქართველი ხალხი ან დაიჩოქებს და თავის ლოიალობას გამოხატავს, ან მას დაიპყრობენ, რა თქმა უნდა, იმ მეთოდებით, რომლებიც თანამედროვე გლობალურ პოლიტიკაში არსებობს.

აქედან გამომდინარე, ეს პრობლემა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ამერიკას საქართველოში ისევე არ აინტერესებს, როგორც მაგალითად, ავღანეთში. ყურანი რომ დაწვეს და ბავშვებს რომ ხოცავენ, რთული გამოსაცნობია, ავღანელი ხალხი ამერიკული არმიის მიმართ რა განწყობითაა? რა თქმა უნდა, ეს რთული გამოსაცნობი არ არის, მაგრამ ეს არის იმპერია, რომელიც ამბობს — сила есть, ума не надо.

— ბატონო კახა, სამეგრელოში აღმოჩენილი ფარული ჩანაწერების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ამ ფაქტების გამო წინა ხელისუფლება პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე? ხომ არ არის ეს ყოფილი მმართველი პარტიისგან გარკვეული ადამიანების გამიჯვნის დასაწყისი?

— „ნაციონალურ მოძრაობაში“ პერიოდულად არის ისეთი განწყობები, რომ მოხდეს პარტიის რებრენდინგი, ანუ პარტიის დაშლა და შემდეგ რამდენიმე ახალი პარტიის ჩამოყალიბება, თუმცა „ქართულ ოცნებაში“ არის ერთი ფრთა, „რესპუბლიკური პარტია“ და კიდევ რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ცდილობენ, „ნაციონალური მოძრაობა“ შეინარჩუნონ, როგორც პოლიტიკური პარტნიორი. სწორედ ამაზე დგას „ნაციონალური მოძრაობა“. მინდა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ სახელით გითხრათ, რომ, ალბათ, ჩვენ რამდენიმე დღეში სათავეში ჩავუდგებით საზოგადოებრივ მოძრაობას, რათა დაიწყოს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიკვიდაცია. ჩვენ პირდაპირ მოვახდენთ პიკეტირებას „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბების, ოფისების, მერიის, საკრებულოსი და ა.შ. რათა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არსებობა შეწყვიტოს.

კოჰაბიტაციაში ბრალი უნდა წავუყენოთ არა „ნაციონალურ მოძრაობას“ (ისინი ამ შემთხვევაში კოჰაბიტაციის და ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან), არამედ „რესპუბლიკურ პარტიას“. უნდა დასრულდეს მათი საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენას და მთავარ პოლიტიკურ ოპონენტად დარჩენას ისურვებენ, ხოლო თუ ასე არ მოხდა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, დავიწყებთ „რეპუბლიკური პარტიის“ პიკეტირებასაც.

მახინჯი კორუფციული პოლიტიკის გამოხატულებაა, რომ ერთი მხრივ, ბრალს უყენებ „ნაციონალურ მოძრაობას“ იმ სისაძაგლეებში, რაზეც ახლა თქვენ საუბრობდით, მეორე მხრივ კი, როდესაც რაღაც კანონპროექტის გატანისას მათი ხმები გჭირდება, თავზე ხელს უსვამ. ეს არის პოლიტიკური სიმახინჯე. ერთი წუთით ყველამ წარმოვიდგინოთ, გერმანიაში ნიურნბერგის ტრიბუნალის შემდეგ რომ არ ჩამოეხრჩოთ ისინი, ვინც ჩამოახრჩვეს და ეთქვათ, რომ ფაშისტური პარტია უნდა გადაარჩინონ, რადგან მასთან კოჰაბიტაცია აქვთ და ჰიტლერს პატივი უნდა სცენ, რადგან მან ბევრი კარგი გააკეთა...

რუსუდან უშიკიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ბუნებრივი რესურსი

ვიდრე უწყლობას არ დავუხრჩვივართ...

წლევანდელი არნახული წყალდიდობები ლამის მთელ მსოფლიოში და, ამავდროულად, არნახული გვალვები აფრიკაში, ცხადად მოწმობს, რომ დედამიწაზე კლიმატის გლობალურ ცვლილებას წყლის რესურსების მნიშვნელოვანი გადანაწილება მოჰყვება.

პლანეტის ზედაპირზე წყლის მასის ათასწლეულების მანძილზე თითქოს კანონიკურად ქცეული განაწილების შეცვლა კი იმას ნიშნავს, რომ ზოგ ადგილას იგი მოჭარბებულად იქნება ატმოსფერული ნალექების სახით, ზოგან კი წვიმა საერთოდ აღარ მოვა, რაც აუცილებლად ეკოლოგიურ კატასტროფებს მოასწავებს. თანაც ეს იმ ვითარებაში, როცა გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში დღესდღეობით ამა თუ იმ სიმძაფრით უწყლობას მილიარდზე მეტი კაცი, ანუ, ფაქტობრივად, დედამიწაზე ყოველი მეათე ადამიანი განიცდის! კრიზისის პიკს – თუ მანამდე ქვეყნების მთავრობებმა მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭრელ ზომებს არ მიმართეს, რაც, სახსრების უქონლობისა და ზღვის წყლის გამტკნარების ტექნოლოგიების სიძვირის გამო ძნელად სავარაუდოა, – სპეციალისტები უახლოეს ოც წელწადში ელიან. თანაც პრობლემა შეუდარებლად უფრო მძაფრია, ვიდრე ნავთობის მსოფლიო მარაგის თანდათან კლება.

ამდენად, რისკფაქტორების არსებობის პირობებში და მათი, ფაქტობრივად, გარდუვალი გამძაფრების პერსპექტივის გათვალისწინებით, სულაც არ არის გასაკვირი, რომ როგორც სასმელ, ისე სარწყავ წყალზე კონტროლის ხელში ჩაგდებას უკვე დიდი ხანია სხვადასხვა გავლენიანი ძალები ღიად თუ ფარულად ცდილობენ. თუ რას უქადის ეს დანარჩენ მსოფლიოს, ამას თვალნათლივ მოწმობს გაზისა და ნავთობის მაგალითები. ევროპის გაზით ერთერთი უმთავრესი მომმარაგებელი რუსეთია, რომელსაც მასთან დიალოგში ერთგვარი „ენერგეტიკული მათრახი“ უკავია, რასაც პოლიტიკურ თამაშებში აქტიურად იყენებს. ამას, თუნდაც, უკრაინის მაგალითი მოწმობს, სხვა ქვეყნებზე არაფერი რომ არ ვთქვათ. ნავთობთან დაკავშირებითაც იგივე სურათია; მისი უდიდესი ნაწილის მოპოვება, გადაზიდვა და ვაჭრობა მსოფლიო ბაზარზე სულ რამდენიმე უდიდესი მოთამაშის ხელშია, რომლებიც სხვა საშუალებათა გარდა, გლობალურ ეკონომიკას ამ გზითაც აკონტროლებენ. ამ რეალიების გათვალისწინებით მეტად მნიშვნელოვანია, რომ წყლის რესურსებზე კონტროლი სახლმწიფოს ხელში იყოს, რადგან უკვე კარს მომდგარია ის დრო, როცა ამ სიმდიდრის პატრონი ქვეყნები, მათ შორის, ცხადია, საქართველო, გაჭირვებული რეგიონების ქვეყნებისთვის მისი მნიშვნელოვანი მიმწოდებლები გახდებიან. გარდა ამისა, როგორც საქვეყნოდაა აღირებული, სხვა თუ არაფერი, სასმელი წყალი – ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსია. თანამედროვე პირობებში წყლის რესურსების ექსპლუატაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს მათ სწორად, არსებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად განაწილებას – სასმელად, სარწყავად, წყალსაცავთა შესავსებად. აქედან გამომდინარე, წყლის რესურსების მართვისას საჭიროა საამისოდ აუცილებელი სახელმწიფო დაგეგმარების, ერთიანი სტრატეგიის ქონა, რაც ჩვენში, სამწუხაროდ, არ არსებობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტთა საერთო აზრით, წყლის რესურსებს სახელმწიფო უნდა განაგებდეს, ამდენად, თბილისის და მისი შემოგარენის წყალმომარაგების კერძო კომპანიის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსის“ ხელში ჩაგდება, რაც 2008 წელს მოხდა, დიდად მცდარი ნაბიჯი იყო. თანაც ეს გაკეთდა ჩვენი დასავლეთევროპელი პარტნიორების რჩევების სრული იგნორირებით, რომელთა დამრიგებლობას თითქოსდა ასე გულისყურით ეკიდებოდა წინა ხელისუფლება. შედეგად სასმელი წყლის ფასმა საგრძნობლად მოიმატა, მისი საფასურის გადაუხდელობას კი უმალ „ეგზეკუციური“ მეთოდები მოყვებოდა, რაც ყველას კარგად გვახსოვს.

წყლის რესურსებზე სახელმწიფოს კონტროლის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია უსაფრთხოების ელემენტი, რომელიც უშუალოდ მის ხარისხთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ სპეციალისტები განსაკუთრებულ საფრთხეს ხედავენ ქვეყნის მასშტაბით კანალიზაციის სისტემების თითქმის საყოველთაო გაუმართაობაში, მდინარეების სამრეწველო მოღვაწეობის, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენებით და ჭუჭყიანი ჩამდინარე წყლებით დაბინძურებაში.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარის, ბუნებრივი გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის ნინო ჩხობაძის აზრით, ამის ყველაზე კატასტროფული შედეგი ისაა, რომ საბოლოო ანგარიშით ბინძურდება მიწისქვეშა წყლები. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სხვადასხვა სახის წყალმომარაგების (სამრეწველო თუ სასმელი) ქსელების არა მარტო გაყვანა, არამედ მათი მოვლა-პატრონობა, შეკეთება და, შემდგომ, აუცილებლად მოდერნიზება. ეს გარემოება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ დიდი თუ პატარა მდინარეებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ზედაპირული თუ მიწისქვეშა წყლების დაბინძურება საყოველთაო ხასიათისაა და, შესაბამისად, შესაძლო უარყოფითი შედეგიც საყოველთაო იქნება.

წყალი საქართველოში მართლაც ბევრია, მაგრამ მასთან დაკავშირებით პრობლემაც უამრავია. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია, თუნდაც თბილისის შედარებით ახლად აშენებული უბნები – საბურთალო, ნუცუბიძის პლატო, დიდი დიღომი, გლდანი, თემქა, ვარკეთილი, სხვები – გავიხსენოთ, სადაც სასმელი წყალი მოსახლეობას დღესდღეობითაც გრაფიკით მიეწოდება. საქართველოს უახლოეს სამეზობლოში კი წყლის პრობლემა სულაც წლიდან წლამდე მძაფრდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მრავალ სხვა, მეტად გადაუდებელ საქმიანობასთან ერთად, ახალ პარლამენტს წყლის შესახებ ახალი სრულფასოვანი კანონმდებლობის შემუშავება მოუწევს, რადგან ის ეროვნული სიმდიდრე, ყოველივე ცოცხალი არსებობის საფუძველია, რომელსაც ჯეროვნად მოფრთხილება უნდა, ვიდრე „უწყლობას არ დავუხრჩვივართ“.

ოთარ ტურაბელიძე

◎ წარდგინება

ნამდვილი შთაგონების წყარო

ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონატით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ორი დიდი ხელოვანის სოფიკო ჭიაურელის ფოტოალბომის და თამარ ლიჩელის წიგნის „თენგიზ ამირეჯიბის“ პრეზენტაცია.

პროექტის მხარდამჭერნი იყვნენ ირაკლი შიოლაშვილი – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი; მანანა დოიჯაშვილი – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოადგილე, პროფესორი; გიორგი კალანდია – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის საბჭოს მდივანმა ლია ჩოქურმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა, ასოციაციის წევრებმა და მუზეუმის თანამშრომლებმა ისაუბრეს სოფიკოსა და გიზის ბიოგრაფიასა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე.

თამარ ლიჩელის წიგნის „თენგიზ ამირეჯიბის“ წარდგენას ფონად გასდევდა მისი მოსწავლეების – მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატების მანანა დოიჯაშვილისა და ირმა გიგანის მიერ შესრულებული ნაწარმოებები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვეფხია ნატროშვილმა მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებს ამ საღამოს მოწყობისთვის.

პროექტის გენერალური სპონსორი გახლდათ 2013 წლის ერთ-ერთი ნომინანტი „საქართველოს კოლორიტული პიროვნება“ ბიძინა პოპიაშვილი.

ეს შთამბეჭდავი საღამო დიდხანს იქნება დაუვიწყარი იქ მყოფი საზოგადოებისთვის – სოფიკოსა და გიზის ნიჭის თაყვანისმცემლებისთვის.

ნანა ჭიჭინაძე

◎ წერილი რედაქციას

სიცოცხლის გადასარჩენად

უცნაური რამ გვჭირს ქართველებს, – კარგს და სასურველს უცხოს ვჩუქნით, უარყოფითს კი ადვილად ვითვისებთ... აბა, რას უნდა მივაწერო ის უცნაურობები, ამ ბოლო დროს ჩვენში რომ დამკვიდრდა?

თუნდაც, ტროტუარებზე მანქანების თავისუფლად სვლა... ნეტავ, სად ნახეს, საიდან დაამკვიდრეს, ანდა, ვინ მოიგონა, ფეხით სავალ გზებზე ადამიანები მანქანებს შორის დადიოდნენ? ეს უცნაურობა ისე გავითავისეთ, აღარც დავეძებთ და აღარც ვნაღვლობთ, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას...

ძველად საურმე გზას ვიწრო ბილიკი მოჰყვებოდა, რომელსაც გზის ნაპირს, ან საცალფეხო გზას უწოდებდნენ. ხოლო სიტყვა „ტროტუარი“, ფრანგულიდან დამკვიდრდა.

ქართული განმარტებითი ლექსიკონი გვამცნობს:

„ტროტუარი ქუჩის ორივე მხარეს ოდნავ შემაღლებული ქვაფენილი, ან მოასფალტებული გზაა, ფეხით მოსიარულეთათვის“ და არა მანქანების გზასავალად ქცეული. ჩვენ კი ორივე ერთად გავაერთიანეთ და მანქანებსა და ადამიანებს ერთი სავალი გზა დავუწესეთ... ნუთუ, ესეც უცხო ქვეყნიდან გადმოვიღეთ? რაღაც, არა მგონია?!

იცოცხლეთ, ამ ბოლო დროს საქართველოში ისე მომრავლდა სხვადასხვა მარკის მსუბუქი ავტომანქანები, რომ ტევა აღარ არის, ჰოდა, სხვას კი ნუ ვაბრალებთ, ადვილი გამოსავალი ჩვენვე მოვნახეთ, როცა ტროტუარებზე მანქანების გზასავალი დავამკვიდრეთ.

ერთმა ქალბატონმა ისიც კი ბრძანა, **„ჩვენში ისე მომრავლდა მანქანები, რომ ასე მგონია, ამქვეყნად მარტო მე ვარ ღარიბი და საწყალიო“.**

ღმერთმა ამრავლოს შეძლებულნი, მაგრამ ადამიანების უსაფრთხოებისთვის ტროტუარებიც ხომ აუცილებელია?!

შეცდომა შეცდომას მოჰყვა, მანქანების გადამეტებულმა სვლამ ნაჩქარევად და სანახევროდ დაგებული ქვაფენილი საგრძნობლად დააზიანა, მორყეულ, პირდაღებულ ქვაფენილზე წვიმის დროს ზოგჯერ გუბეები ჩადგება და აქა-იქ ბალახებმაც თავი წამოსწია...

ბერძენიშვილის ქუჩის კუთხის გზაჯვარედინზე გადავდიოდი, უცებ, 3-4 წლის გოგონა დედას ხელიდან გაუსხლტა, ალბათ, ვიღაცას მიმამსგავსა და პირდაპირ ჩემკენ გამოქანდა. ამ დროს უკანა ნელი სვლით მომავალი მანქანა დაიძრა, ის იყო ბავშვს უნდა დაჯახებოდა, რომ პატარასაკენ გადავხტი და ხელი ვტაცე, მანქანა შეჩერდა, ბავშვი გადარჩა. განერვიულებული დედა მოვარდა, ბავშვი გამომტაცა და ცემა-ტყეპით გზა განაგრძო. მე მათ გავყურებდი. მძღოლმა ყურადღება არ მომაქცია. ალბათ, ეგონა, რომ მათ გავყევი, მანქანა დაძრა და დამეჯახა. ქვაფენილზე პირქვე დავეცი. მძღოლი სწრაფად მიიმალა. ეს ყოველივე წამებში მოხდა. საღამო იყო, ხალხი ნაკლებად მიმოდიოდა. წამოდგომა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე.

უცებ ვიგრძენი ვიღაც მეხმარებოდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა წამომაყენეს, სახლში წაყვანაც შემომთავაზეს, მაგრამ ვიუარე. მადლობის მეტი რა მეთქმოდა, დავემშვიდობე და გზა მე თვითონ გავაგრძელე. მთელი სხეული მტკიოდა. კარგა ხნით ლოგინს მივეჯაჭვე, ბოლოს ყავარჯენს დავუმეგობრდი და გარე სამყაროს დღეს იშვიათად ვსტუმრობ...

– მას შემდეგ ორი წელი გავიდა, პატარა გოგონა, ალბათ, 5-6 წლისაა და შეიძლება უკვე ყოველ დილით სკოლაშიც კი მიცუნცულებს.

ცისანა სიხარულიძე

დედამიწის ზურგზე

ბრიტანეთის მთავრობაში განიხილავენ შესაძლებლობას, ნება მიეცეთ ძალებს ეწოდებოდეთ „ძმრები“, მამაკაცებს კი – „ცოლები“

სპეციალური დოკუმენტის თანახმად, რომელიც მომზადებულია ერთსქესიანი ქორწინების შესახებ კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით, სიტყვა „ქმარი“ მომავალში შეიძლება ნიშნავდეს, როგორც მამაკაცს, რომელიც ქალთან არის ქორწინებაში, ისე მამაკაცს ან დედაკაცს ერთსქესიან ქორწინებაში, ხოლო სიტყვა „ცოლი“ – როგორც ქალს, რომელიც ქორწინებაშია მეორე ქალთან, ისე მამაკაცს სხვა მამაკაცთან ქორწინებაში.

* * *

„ნასამ“ ორბიტაზე მზის ტელესკოპი IRIS გაიყვანა

აპარატი ორბიტაზე გაიყვანეს რაკეტა Pegasus XL-ის უკანასკნელი დაგეგმილი გაშვების დროს. მას შეუძლია გადაიღოს ისეთი მაღალი ხარისხის სურათები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ, გამოვარკვიოთ მზის გვირგვინის ანომალური გახურების მიზეზი და გამოვიკვლიოთ გარდამავალ რეგიონში პროცესები ფოტოსფეროსა და გვირგვინს შორის.

* * *

პენტაგონში მეორე ადამიანზე ეჭვი აძვთ, რომ იგი დამნაშავეა ოპერაცია „ოლიმპიადის“ შესახებ საიდუმლო მონაცემების გაჟღენებაში

63 წლის გენერალმა ჯეიმს კარტრაიტმა, რომელსაც უკავია ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილის პოსტი, მიიღო ოფიციალური წერილი იმის შესახებ, რომ იგი იმყოფება გამოძიებაში ინფორმაციის გადინების ბრალდებით მასობრივი კიბერშეტევის შესახებ ირანის ბირთვულ ობიექტებზე.

* * *

ჩინეთში უცნობმა პირებმა დანებით მასობრივი უწესრიგობა გამართეს: დაიღუპა 24 კაცი, 11 თავდამსხმელი მოკლეს

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში სინცზიან-უიგურის ავტონომიურ რაიონში ადამიანების შეიარაღებულმა ჯგუფმა შეუტია პოლიციის განყოფილებას, ადმინისტრაციის შენობასა და სამშენებლო მოედანს. ისინი თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და ცეცხლი წაუკიდეს პოლიციის ავტომობილებს. რა გახდა შეტევის საბაბი და რას მიაღწიეს თავდამსხმელებმა, უცნობია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კრივი

მედლები უკრაინიდან

უკრაინის ქალაქ ბერდიჩევოში ახალგაზრდა მოკრივეთა შორის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრება ცნობილი უკრაინელი მოკრივეების, ძმების ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოების დაფუძნებულია და ტურნირში გამარჯვებულები მათივე სახელობის პრიზს იღებენ.

სულ რინგზე 13 ქვეყნის ნაკრები გამოვიდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც კუკური შავგულიძე თავკაცობს, შეჯიბრებაზე 5 მოკრივით გამოვიდა და 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ქუთაისელმა ჯემალ შალამბერიძემ (64 კგ) ფინალამდე ყველა შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი დამარცხდა და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ახალგაზრდულ ნაკრებს მეორე მედალიც ქუთაისელმა სპორტსმენმა მოუტანა - ირაკლი ქათამაძე (75 კგ) მესამე პრიზიორი გახდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჭადრაკი

ბოლო ტურის წინ...

დილიჟანში მიმდინარე საჭადრაკო გრან-პრის მე-2 ეტაპის ბოლო ტურის წინ ქართველი მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე (2550) მე-3 ადგილს ინარჩუნებს და იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს მდევრებს ქულით უსწრებს, წესით, სამეულში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს.

მე-10 ტურში ნანამ შავი ფიგურებით ლიტველ ვიქტორია ჩმილიტეს სძლია და თავი 6 ქულას მოუყარა. 7 ქულით პირველ ადგილზე ინდოელი ჰამპი კონერუ (2597) რჩება, მეორეზე კი 6.5 ქულით სლოვენიელი ანა მუზიჩუკია (2593).

ბოლო ტურში სამივე ლიდერი თეთრებით ითამაშებს. ძაგნიძე რუს ოლგა გირიას (2436) დაუპირისპირდება, კონერუ – მონღოლ ბატჩიმეგს (2316), ხოლო მუზიჩუკი – სომეხ ელინა დანიელიანს (2475).

სამწუხაროდ, ბოლო პოზიციაზე იმყოფება ბელა ხოტენაშვილი (2531), რომელმაც პირველ ეტაპზე მოულოდნელი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად კი 10 ტურში 1 პარტიაც არ მოუგია და მხოლოდ 3.5 ქულა გააჩნია. გასულ ტურში ბელა შავი ფიგურებით დანიელიანთან დამარცხდა, ბოლო პარტია კი თეთრებით მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ ანა უშენინასთან (უკრაინა, 2499) ელის.

გიორგი ზოთაძე

◎ სპორტული მედიცინა

საერთაშორისო კონფერენცია თბილისში



მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრ „მუზაში“ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით იმართება კონფერენცია სახელწოდებით „სპორტული მედიცინა, რეაბილიტაცია, ფიზმომზადება და დოპინგსაწინააღმდეგო ღონისძიებები – აქტუალური საკითხები“.

კონფერენციის მონაწილეები 6 თემაზე მსჯელობენ: სპორტული კვება, დოპინგი, ტრავმატიზმი სპორტში, ტრავმისშემდგომი რეაბილიტაცია, სპორტული ფსიქოლოგია, ფიზმომზადება სათამაშო სახეობებსა და ორთაბრძოლებში.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, პოლონეთის და გერმანიის სპორტის მუშაკები, მათ შორის გერმანიის ოლიმპიური გუნდის ექიმი ალბერტ გუზბახერი, პოლონეთის სპორტული გუნდების ფიზმომზადების მწვრთნელი დანიელ კურკო, ბელარუსის სამედიცინო-სადამკვირვებლო კომისიის ხელმძღვანელი ანატოლი კრუჩინსკი და წევრი ნატალია შიროვა, სომხეთის დოპინგსაწინააღმდეგო ლაბორატორიის მესვეური ოლეგ ოვანესიანი.

კონფერენციას ესწრებიან არაერთი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, სხვადასხვა საავადმყოფოების ქირურგები და სპორტული გუნდების ექიმები.

კონფერენცია სამდღიანია და ხვალ დასრულდება.

ბეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ევროპული კლასიკა

მართლაც რომ საოცარია სპორტული ცხოვრება.

მას შემდეგ, რაც კონფედერაციათა თასის ნახევარფინალში მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი ჩეზარე პრანდელის მწვრთნელობისას სტილნაცვალ და მოიერიშე გუნდად ქცეულ იტალიას დაუპირისპირდა, ყველანი შედეგიან თამაშს ველოდით, მით უმეტეს გოლების იმ წვიმის ფონზე, რომელიც ბრაზილიის სტადიონებზე მოდის.

ესპანეთი – იტალია 0:0
პენალტებით – 7:6

ალბათ, გახსოვთ, რომ „ევრო – 2012“-ის ფინალში ვისენტე დელ ბოსკეს შეგირდებმა შავი დღე აყარეს პრინციპულ მეტოქეს – 4:0, რომელსაც ფორტალეზაში გამართულ სარევანშო ბრძოლაში შეტევათა ლიდერი მარიო ბალოტელი აკლდა.

ასეთი სოლიდური დანაკლისის მიუხედავად, „სკუადრა აძურამ“ ღირსეულად ითამაშა ბოლო წლებში დაუმარცხებელი „ფურია როხას“ წინააღმდეგ და დროის გარკვეულ მონაკვეთებში უპირატესობასაც ფლობდა, თუმცა, როგორც დადასტურდა, ხავისა და კომპანიის დასაჩოქებლად რაღაც სხვა არგუმენტებიცაა საჭირო. კონკრეტულად რა? იქნებ, ამ კითხვას პასუხი ხვალ „მარაკანაზე“ დანიშნულ ფინალში მასპინძლებმა გაგვცენ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ელიტა

მარეი – უილიამსს: ვითამაშოთ, სერენა?

სერენა თანახმაა, ოლონდ პირობას აყენებს

მამაკაცთა შორის რეიტინგსიის მეორე ნომერმა ენდი მარეიმ ქალთა კლასიფიკაციის უპირობო ლიდერ სერენა უილიამსთან კორტზე გაჯიბრების სურვილი გამოთქვა. "სიამოვნებით ჩავატარებდი სერენასთან საგამოფენო მატჩს. მასთან ერთად არასდროს მივარჯიშია, მაგრამ უილიამს-უმცროსი უზადო მოთამაშეა და ჩემთვის საინტერესოა ასეთი დონის ჩოგბურთელთან გაჯიბრება, მიუხედავად იმისა, სერენა ქალბატონი რომაა. მითუმეტეს, წარსულში საპირისპირო სქესის წარმომადგენლები ერთმანეთს უკვე შეხვედრიან – გავიხსენოთ ჯიმი კონორსისა და მარტინა ნავრატილოვას პაექრობა. ასე რომ, კარგი იქნებოდა, თუკი მე და სერენა ერთმანეთს თუნდაც ლას ვეგასის კორტზე შევხვდებოდით“.

ენდის წინადადებას სერენა ოპერატიულად გამოეხმაურა და შოტლანდიელის იდეა პრინციპში მოიწონა, ოლონდ მარეისთან შეხვედრის თავისი პირობა წამოაყენა: „ბრიტანელს ჩემთან თამაში ნამდვილად სურს? არ ვარ დარწმუნებული, რომ ენდისთან პაექრობისას თუნდაც ერთ გეიმს მოვიგებ, მაგრამ, ვფიქრობ, მაყურებლისთვის საინტერესო სანახაობა გამოგვივა. გითხრათ სიმართლე, მარეის სტილისა და დონის ჩოგბურთელთან დაპირისპირებას არ ვისურვებდი, მაგრამ მის წინადადებას დავთანხმდები მხოლოდ ჩემი პირობებით – ჩემთვის მოწოდების ზონა უნდა გაფართოვდეს და ენდის მხარეს აუტი წყვილთა თანრიგის მატჩისთვის განკუთვნილ არეალში ბურთის ჩავარდნისას არ უნდა დაფიქსირდეს“.

ვიტალი ჯაფარიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რა არ ხდება!

„... და მაშინ, ტურისტულ ვიზას რომ მიიღებს, ბერეზოვსკი შეძლებს რუსეთში ლეგალურად (ახალი სახელ-გვარით, მაგრამ ლეგალურად) ჩამოსვლას...“ — ამბობს ანდრეი კარაულოვი.

ერთ-ერთი რუსეთელი ოლიგარქის, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ბორის ბერეზოვსკის სიკვდილმა მსოფლიოში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ზოგი ფიქრობს, რომ ის მოკლეს: ინგლისში რუსეთის მოწინააღმდეგეთა შესახებ ძალიან ბევრი რამ იცოდაო. სამშობლოში ბერეზოვსკის დაბრუნების შემთხვევაში ეგ ცნობები აქაური სპეცსამსახურების კარგ დახმარებად შეიძლებოდა ქცეულიყო.

სხვანი იმ შეხდულებისა იყვნენ, რომ გაქცეული ოლიგარქის გარდაცვალება მაინც თვითმკვლელობას მოჰყვა... ბოლო ხანს მეტისმეტად მძიმედ მიდიოდა იმისი ფინანსური საქმეები. ბორის ბერეზოვსკიმ 5 მილიარდი დოლარი დაკარგა რომან აბრამოვიჩთან სასამართლოში დაპირისპირებისას; მატერიალური მდგომარეობა იმდენად შეერყა, რომ საყვარელი სურათების გაყიდვაც მოუხდა...

არის სასიყვარულო ვერსიაც: საბედისწერო როლის შესრულება შეეძლო ოლიგარქის ერთ-ერთ მიტოვებულ ცოლს (მეუღლე ცოტა არ ჰყავდა და მათ ყოველთვის მშვიდობიანად როდი სცილდებოდა)...

ეგებ ჭეშმარიტება ბორის აბრამის ძის საიდუმლო დღიურს გადაეშალა, თუმცა, ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის ბედი იდუმალების ბურუსითაა მოსილი.

ამასობაში პროგრამა „ჭეშმარიტების მომენტის“ ავტორს ანდრეი კარაულოვს საკუთარი ვერსია აქვს. ცნობილი ჟურნალისტი ფიქრობს, რომ ბატონი ბორისი... ცოცხალი გახლავთ და მალე რუსეთში უნდა ველოდოთ!

ბერეზოვსკი ცოცხალია?

ანდრეი კარაულოვი შერისხული ოლიგარქის ერთობუცნაურ სიკვდილზე

უკანასკნელ წლებში ის კოკაინზე იჯდა

— ბრეზოვსკის დაკრძალვა ძალიან უცნაური იყო: ღიმილიანი სახეები, მოკლე კაბები, დედა, რომელიც „კმაყოფილია იმით, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი“. სავსებით შესაძლებელია, რომ **ეგ კაცი ცოცხალი და საღ-სალამათია,** — გვიამბობს ანდრეი კარაულოვი, — **და სადღეისოდ „დახურულია“ პროგრამით „მოწმეთა დაცვა“...**

პრინც მაიკლ კენტელმა (რომელმაც დაკარგა თავისი დინასტიური სტატუსი ქორწინების გამო) ლონდონში ბორისის მეგობარმა და მთავარმა „მფარველმა“, ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამგვარი წინადადებით შესაბამის სტრუქტურებს მიმართა. მას გულწრფელად ეგონა, რომ ბერეზოვსკის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ბორის ამბრამის ძის დაკრძალვის შემდეგ, იმის 87 წლის დედას უთქვამს: „კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი“. ხედავთ? ის იყო გასვენებაში, ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია... საღამოს ქელეხის მაგიერ ამხანაგური ვახშამი გაიმართა ბორისის საყვარელ იტალიურ პატარა რესტორან „ალოროში“, მისივე ოფისის მახლობლად.

რამდენიმე წლით ადრე ლონდონში ბერეზოვსკის „ჭეშმარიტების მომენტისთვის“ ვიღებდი — იმ დროს, როცა დედამისს ქირურგიულ ოპერაციას უკეთებდნენ. ოლიგარქი ჩვენთან საკმაოდ ხშირად გამოდიოდა, ალბათ ოცჯერ მაინც (ეს სიტყვის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით...). ჰოდა, ყოველ 15 წუთში მივარდებოდა ხოლმე ტელეფონთან: „ნარკოზის საქმე როგორაა? დედა გამოვიდა მდგომარეობიდან?“ ვეუბნები: „იქნება შესვენება მოვაწყოთ?“ — „არა, ვიმუშაოთ“. ექიმისთვის მას სპეციალური ტელეფონი ჰქონდა. მხოლოდ ექიმს შეეძლო დარეკვა, სხვას არავის; როცა ბოლოს, როგორც იქნა, მოისმინა, რომ ყველაფერი რიგზეა და დედა გონს მოეგო, ამოისუნთქა: „ახლა შესვენებაც არ იქნება ურიგო“.. და 40 წუთი თვითონაც გონს მოდიოდა...

დიახ, უკანასკნელი შვიდი წელი ბერეზოვსკი უკოკაინოდ ვერ ძლებდა. ეს ჯერ კიდევ მოსკოვში დაიწყო. სულ ერთია: ცოცხალი დედის ხელში ის თავს არ მოიკლავდა; შეეძლო თავის მოკვლა, მაგრამ არ შეეძლო მშობლის გამეტება, მაშასადამე, თავის მოკვლაც...

პლასტიკურ ოპერაციას გაიკეთებს

ახლა ამ ისტორიის იურიდიულ მხარეს მივხედოთ; თუ (მოწმეთა დაცვის პროგრამის ფარგლებში) ჩნდება ლონდონის პოლიციის გაცემული დოკუმენტი სიკვდილის ფაქტზე, უმალვე იხურება (სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებული) ყველა სისხლის სამართლის საქმე — აქ რუსეთს ვგულისხმობ. ეჭვმიტანილის სიკვდილის მიზეზით; **და საქმეები არქივს ბარდება, სისხლის სამართლის წესით დევნა, ბუნებრივია, წყდება, ვინაიდან სადევნო აღარავინაა.**

ასეთია პროცედურა. სისხლის სამართლის საქმე ყოველთვის მიდის ან სასამართლოში, ან არქივში — სიკვდილშემდგომ არ ასამართლებენ.

ბერეზოვსკის, თუკი ის ცოცხალია, ავტომატად უჩნდება ახალი მოქალაქეობა — დიდი ბრიტანეთისა. ახალი პასპორტი, ახალი სახელი (არა პლატონ ელენინი, აქ არაა ეს პრიმიტიული თამაში) პლუს, რაც მთავარია, პლასტიკური ოპერაცია; და მაშინ, მიიღებს რა ტურისტულ ვიზას, ოლიგარქს შეუძლია ლეგალურად — ახალი სახელით, მაგრამ ლეგალურად! — რუსეთში ჩამოსვლა. ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ გაცემულია სახელმწიფოს მიერ.

და თუნდაც იმის სამშობლოში ვინმეს ეჭვი აღეძვრება, რომ ის, ბერეზოვსკი, ცოცხალია, ეს მხოლოდ კერძო აზრია: არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომ ბორის ბერეზოვსკი მკვდარია და მსურველებს იმის საფლავს უჩვენებენ.

სხვა სიტყვებით, რუსეთის მოქალაქის ნაცვლად ახლა გახლავთ ინგლისის მოქალაქე და ინგლისი მას მსოფლიოს ყველა კუთხეში იცავს. სისხლის სამართლის საქმეებიც დახურულია, „მონაცემთა ბაზაში“ უკვე აღარაა „ბერეზოვსკი ბორის აბრამის ძე“, ესე იგი ახალ „ინგლისელ ბერეზოვსკის“ ყველა გზა ხსნილი აქვს. სხვაგვარიანი ბერეზოვსკი — ეს უკვე ბერეზოვსკი არაა, ეს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა და შეუძლებელია მისი დაკავება ძველი ცოდვებისთვის, რადგან, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეს ცოდვები არქივში „მოკვდა“ ეჭვმიტანილის სიკვდილთან ერთად!

ეს „სქემა“ ადრეც უტყუარად მუშაობდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ნაცისტი დამნაშავენი ამნაირადვე „იფარებდნენ“ არგენტინას, ვინაც — ბრაზილიას. სულაც არ იყო ისრაელისთვის ადვილი იმათი გაცემის მიღწევა! სად გაქრა მარტინ ბორმანი, მაგალითად? სად წავიდა სკორცენი? ამ კითხვების დასმა დიდხანს შეიძლება...

არც ერთი ფოტოსურთი არაა, სადაც ბერეზოვსკი კუბოშია. ხმები გარდაცვალების პირველსავე წუთებიდან ირევა, მათ კი ყრუდ დახშული კუბო ადასტურებს...

ბორის აბრამის ძე მკვდარი (ვითომ მკვდარი) ნახა (ვითომ ნახა) მხოლოდ ორმა კაცმა — გუშაგმა და გალინამ, ცოლყოფილმა. **ინგლისელ პათოლოგოანატომთაგან ვერავინ ვერ გაბედა განცხადება, რომ სწორედ ბერეზოვსკის გვამთან ჰქონდათ საქმე. ეს ხომ სულ ადვილია — ერთი ფოტოგრაფია მაინც! არა...**

ნუთუ მოწმეთა დაცვის პროგრამა პიარ-დაფარვასაც ნიშნავს?

პუტინს სინანულის წერილებს სწერდა

ოლიგარქი მოწყენილობისაგან გიჟდებოდა და მარტოოდენ კოკაინით შველოდა თავს. ვისმეს უცოლოდ არ ძალუძს ცხოვრება, მას კი — ძალედვა. ცოლი ცოტა როდი ჰყავდა, ოღონდ ცოლებზე უფრო მეტად ფული უყვარდა. რუსეთში კი მთელი იმისი ბიზნესი დარჩა. მთელი!

ეგ რა არის, ის მართლაც მიმართავდა პუტინს, სთხოვდა დაბრუნებას, ინანიებდა ცოდვებს, ამბობდა, რომ „სისტემური შეცდომა“ მოუვიდა. ერთი წერილი ხელითაა დაწერილი, მეორე ცალი — კომპიუტერზე, მაგრამ ყოველი გვერდი იმისი კაუჭიანი ხელმოწერითაა...

ჰქონდა თუ არა ბერეზოვსკის თავისი ქარხნები ჩეჩნეთში ნარკოტიკების საწარმობლად?

იყო თუ არა მიხეილ პრუსაკი 1999-ში რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე „სათადარიგო“ კანდიდატურად?

სახელდობრ რა, როგორი ტვირთები გამოჰქონდათ გროზნოდან ადრინდელ წლებში აეროპორტ „სევერნიდან“, მსოფლიოში ერთადერთი საერთაშორისო აეროპორტიდან, სადაც არავითარი საბაჟო არ არის?..

ჩემს გადაცემა „ჭეშმარიტების მომენტის“ საიუბილეოდ (10 სექტემბერს დიდი გალა-კონცერტი შედგება სახელმწიფო კრემლის სასახლეში) ჩემს თავს, თუ გამომივა, საჩუქარს მივართმევ: 13-სერიან ფილმს „უცნობი რუსეთი“, რომელსაც — თფუ, თფუ — უჩვენებს „მეხუთე არხი“, სადაც აგერ, ორი წელია, რაც ვმუშაობთ. იქ იქნება პასუხები ყველა ამ კითხვაზე...

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

სულთათანა

სოფოს, მირანდას და დათოს მონატრება

1 ივლისს 12 წელი შესრულდება, რაც ეს წუთისოფელი დატოვეთ და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლეთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო. ტკივილით სავსეა ეს თარიღი ჩემთვის. დღემდე ვერ ვეგუები თქვენთან განშორებას. მენატრება ყოველი დღე, წუთი და წამი თქვენთან ერთად გატარებული. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად მიძლიერდება თქვენი ნახვისა და მოფერების სურვილი.

ამქვეყნად მხოლოდ 17 წელი დაჰყავით, მაგრამ ბევრი სითბოსა და სიყვარულის გაცემა მოასწარით. ამიტომაც ძალიან გვიმძიმს უთქვენობა. თქვენი ცხოვრება არ დასრულებულა, იგი ზეცაში გრძელდება. იხარონ თქვენმა სულებმა. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით.

„დრო ვეღარ წაშლის თქვენს სახელს,
მუდამ დარჩებით ჩვენთან,
ჩვენ აქ ვილოცებთ თქვენთვის,
თქვენ კი იცხოვრეთ ღმერთთან“.

თქვენი მეგობარი მარინა დუნდუა

მეუღლე ნუნუ ღუნაშვილი, შვილები სერგო, თინათინი, რძალი მაკა მალაციძე, ნათესავები, მეგობრები და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ივანე სერგოს ძე ფანცულაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 VI, 17 სთ. ირაკლი აბაშიძის №24. დაკრძალვა 30 VI, 15 სთ. გამოსვენება ვერის სასაფლაოს წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძრიდან.

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი და გამორჩეული პიროვნება

ივანე ფანცულაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

◎ ხალხის აზრი

თბილისელებს უჭირთ უგულავას მიღწევების დასახელება

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობას თბილისის მერის გიგი უგულავას ძირითადი მიღწევების დასახელება უჭირს.

— რა ძირითადი მიღწევები აქვს თბილისის მერს გიგი უგულავას? — შესაბამის შეკითხვაზე პასუხისას რესპონდენტთა 44 %-მა კატეგორია „არ ვიცი“ აირჩია, 10 %-მა კი უპირატესობა მიანიჭა კატეგორიას „არაფერი“.

რაც შეეხება გამოკითხვის ფარგლებში ჩამოთვლილ ცალკეულ საკითხებს, მათი რეიტინგი ასეთია: ინფრასტრუქტურა პირველი რიგის წარმატებულ საკითხად გამოკითხულთა 13 %-მა, მეორე რიგის მიღწევად კი 17 %-მა დაასახელა.

შემდეგ ადგილზე მოდის ქუჩების რეაბილიტაცია, რომელიც რესპონდენტთა 8 %-ის აზრით, გიგი უგულავას პირველი რიგის მიღწევაა, ხოლო 12 %-ის შეფასებით, მეორე რიგში წარმატებული საკითხია.

რეიტინგში შემდეგ პოზიციები ასე ნაწილდება: დასუფთავება — 8-13 %, პარკების აშენება — 3-6 %, ვაუჩერების დარიგება — 3-4 %, ფასადების რემონტი — 2-3 %, ქუჩების განათება — 2-4 %, ძველი თბილისის რეკონსტრუქცია — 2-3 %, ტრანსპორტი — 1-2 % და სოციალური პრობლემების მოგვარება — 1-2 %.

რაც შეეხება თბილისის მერის ჩავარდნებს, გამოკითხულთა უმეტესობას — 47 %-ს მისი წარუმატებლობის დასახელებაც უჭირს, 2 % ფიქრობს, რომ გიგი უგულავას ჩავარდნა „არაფერში“ ჰქონია, 3 % კი პასუხისას ირჩევს კატეგორიას „ყველაფერი“.

„რას მიიჩნევთ თბილისის მერის გიგი უგულავას ძირითად ჩავარდნად?“, — კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში გამოკითხულთა შედეგები ასე გამოიყურება:

ტრანსპორტის მაღალი ღირებულება — 8-11 %, ხალხისადმი უდარდელი დამოკიდებულება — 6-7 %, კორუფცია — 6-8 %, ბიუჯეტის გაფლანგვა — 5-6 %, მისი პოლიტიზირება — 4-4 %, მშენებლობების დაბალი ხარისხი — 3-3 %, სოციალური პრობლემები — 2-4 %, ელექტროენერგიის და დასუფთავების გადასახადის გაერთიანება — 2-4 %, ის, რომ ვერ მოახერხა გადასახადების შემცირება — 2-3 %, მისი ცხოვრების სტილი — 2-2 %, ხალხში ნდობის დაკარგვა — 1-2 % და პროდუქტებზე გაზრდილი ფასები — 1-2 %.

კვლევა მიმდინარე წლის 17 მაისიდან 2 ივნისის პერიოდში ჩატარდა. მის ფარგლებში საარჩევნო ასაკის მქონე 3 998 რესპონდენტი გამოიკითხა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

ყოველთა წმიდათა კვირიაკე პეტრეპავლობის მარხვის დასაწყისი



30 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს ყოველთა წმიდათა კვირიაკეს. სულთმოფენობის მეორე შვიდეულის დამთავრების შემდეგი ორშაბათიდან კი წმიდათა მოციქულთა პეტრეპავლობის მარხვა იწყება.

...საგულისხმოა, რომ პეტრეპავლობის მარხვა მოციქულებს დაუწესებიათ; ამ მრავალდღიან მარხვას „ერგასის შემდგომს“ უწოდებდნენ. ამჟამად მას „ზაფხულის“ მარხვადაც მოიხსენიებენ.

* * *

დღეს, 30 ივნისს შალვა ახალციხელის ხსენების დღეცაა.

...წმინდა მეფე თამარის ასულის – რუსუდანის მეფობისას საქართველოში ჯალალედინი შემოიჭრა უთვალავი ლაშქრით.

სარდალმა ივანე ათაბაგმა მეწინავე ლაშქრის მეთაურობა დაავალა სიმამაცით და სიმხნევით გამორჩეულ ორ ძმას – შალვა და იოანე ახალციხელებს.

მუსლიმებმა შალვა ახალციხელი ხელთ იგდეს და ქრისტესთვის მებრძოლი აწამეს. წამებისას შალვა სიხარულით ამბობდა: „იხარებდე, ჰოი, შალვა, დავითმინოთ, შალვა, სიკვდილი ქრისტესთვის...“

შალვა ახალციხელის ღვაწლმა ხალხურ პოეზიაშიც ჰპოვა ასახვა: „შავლეგ, შენი შავი ჩოხა შავლეგო, სისხლში გაგიხამებია, შავლეგო, ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო, მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო, შავლეგ შენი შავი ჩოხა, ჩავლეგო“.

გიული ლიპარტია

◎ მილოცვა



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1950 წლის კურსდამთავრებულები ვულოცავთ ჩვენს მეგობარს და კოლეგას, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს, მათ შორის ღირსების ორდენის კავალერს, რომელმაც გაიარა დიდი და სახელოვანი შრომითი გზა რიგითი ინჟინრიდან მინისტრის მოადგილემდე **ნოდარ ჩიბალაშვილს** დაბადებიდან 85 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავისი დიდი ოჯახის და მეგობრების გულის გასახარებლად.

ნელი გამყრელიძე, ადიკო გვალია, გია გიგიბერია, ანატოლი გეწაძე, კუკური ლალიაშვილი, ლამარა მასხარაშვილი, გივი კვიჭიძე, ნოდარ მეძმარიაშვილი, ირაკლი მილორავა, მილიცა ნადირაძე, კოტე უჩანეიშვილი, იამზე ფანცხავა, ნათელა ჭედია, გუგა ჭოხონელიძე.

◎ ტესტი

შეიმოწმეთ გაანწყობილება

ბევრს სურს, იყიდოს ჰანტელი და ველოტრენაჟორი, მაგრამ ეშინია, რომ არ ეყოფა ნებისყოფა რეგულარულად ვარჯიშისთვის.

1. მზად ხართ კვირაში სამჯერ ტელესერიალების დროს ატრიალოთ პედალი ან ივარჯიშოთ ფიზიკურად?

ა) დიახ – 2 ქულა
ბ) არა – 0 ქულა
გ) შეიძლება – 1 ქულა

2. გინდათ ივარჯიშოთ მარტო, უკომპანიოდ?

ა) დიახ – 2 ქულა
ბ) არა – 0 ქულა
გ) არ ვიცი, შეიძლება – 1 ქულა

3. დაგთანხმდებიან ოჯახის წევრები, რომ არ ჩაგრთონ საოჯახო საქმეებში მთელი საათი?

ა) დიახ, ისინი მხარს მიჭერენ ვარჯიშებში – 2 ქულა
ბ) მათ ვერ აიძულებ... – 0 ქულა
გ) ალბათ, დამპირდებიან – 1 ქულა.

4. გინდათ იდინოთ ოფლი და იღლებოდეთ სამჯერ კვირაში თითო საათით მთელი წლის განმავლობაში?

ა) დიახ – 2 ქულა
ბ) ვარჯიშის დროს ვცდილობ, ოფლი არ მოვიდინო – 0 ქულა
გ) არ ვიცი, შეიძლება – 1 ქულა

5. როგორ რეაგირებას მოახდენთ ნაცნობის სატელეფონო ზარზე ვარჯიშის დროს?

ა) მოკლედ ვეტყვი, რომ დაკავებული ვარ და დავკიდებ ყურმილს – 2 ქულა
ბ) დაველაპარაკები, შემდეგ გავაგრძელებ ვარჯიშს – 0 ქულა
გ) შევეცდები, დაველაპარაკო ცოტა ხნით – 1 ქულა

შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

9-10 ქულა – საოჯახო ვარჯიშები – იდეალური ვარიანტია თქვენთვის. თქვენ ხართ მაღალორგანიზებული და ნებისყოფიანი ადამიანი.

6-8 ქულა – თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, ივარჯიშოთ სახლში. მაგრამ გარეგანი, სამუშაოს მომწყვეტ ფაქტორებს ადვილად შეუძლიათ „გამოგთიშონ“ რეჟიმიდან.

3-5 ქულა – თქვენ შეგეძლოთ, გევარჯიშათ სახლში. შეეცადეთ, ჩაიწეროთ თქვენთვის, თუ რა სარგებელი შეგიძლიათ მიიღოთ ვარჯიშებისგან – შეიძლება სიმტკიცე გაგიძლიერდეთ.

0-2 ქულა – არა, ეს თქვენი საქმე არაა. თქვენ გჭირდებათ სტიმული აბონენტისთვის ან მწვრთნელისთვის გადახდილი ფულის სახით, ვინაც გაიძულებთ და მოგანიჭებთ რიტმს.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთინოდეთ ვარსებებთან

„ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ღარიბაშვილი შეცვლის“

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია ვარაუდობს, რომ ბიძინა ივანიშვილს არა აქვს საფუძველი გადადგეს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, მისი ნდობით კი ყველაზე მეტად, შესაძლოა, ირაკლი ღარიბაშვილი სარგებლობდეს, ეს იქნება ის, ვისაც ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაასახელებს. „ახალ მემარჯვენეებს“ არ გვახასიათებს პოლიტიკური მარჩიელობა, მაგრამ მგონია, ამ შემთხვევაში არ ვცდებით და აქცენტი ღარიბაშვილზე კეთდება.

„ახალი თაობა“

ელენე თევდორაძე სკანდალურ განცხადებას აკეთებს

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ელენე თევდორაძე სკანდალურ განცხადებას აკეთებს.

მან 2005 წელს ვანო მერაბიშვილთან საუბრის დეტალები გაიხსენა – მერაბიშვილმა მოკლული ახალგაზრდების საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სანამ მათნაირ 200 ბანდიტს მიწაში არ ჩავაწვენ, ვერ მოვისვენებო... ბოკერიამ კი ამიხსნა – ჩვენ უნდა გავზარდოთ პატიმრების რიცხვი 24 ათასამდე, ამის გამო საქართველო მიიღებს თანხებს, რათა ააშენოს ახალი ციხეები.

„ვერსია“

ბაგა-ბაღებზე გადასახადის გაუქმება 90 პროცენტით არის გადაწყვეტილი

„ახლა მიდის სამზადისი იმისთვის, რომ სასწრაფო წესით მოხდეს თანხების მობილიზება და ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწესებული გადასახადების გაუქმება“, – ამბობს საკრებულოს წევრი ჯაბა სამუშია, ბაგა-ბაღების დირექტორები ამბობენ, რომ ეს საკითხი 90 პროცენტით არის გადაწყვეტილი, და პარლამენტის ამ კანონპროექტს მიესალმებიან.

„რეზონანსი“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– მიხო, ვინ არის გეორგ ომი? – ეკითხება ფიზიკის მასწავლებელი.

– რახან კანონებს წერდა, ალბათ, დეპუტატია.

* * *

– ვისთან ერთად სვამდი?
– ვიღაც ივანთან ერთად...
– და რამდენი დალიეთ?
– არ მახსოვს.
– რაზე ლაპარაკობდით?
– არ მახსოვს.
– აბა, რა გახსოვს?
– ის, რომ მე და ივანი ახლა საუკეთესო მეგობრები ვართ!

* * *

– აბა, როგორ აგიხსნა. აი, წარმოიდგინე: ფეხბურთელები თამაშობენ, ლამაზად თამაშობენ, საუცხოო ფინტები, გადაცემები... გოლი კი არ გადის.

– რატომ?
– იმიტომ, რომ კარები არ არის!

ახლა კი წარმოიდგინე სხვანაირი სიტუაცია: კარი არის, მაგრამ უმეკაროდ. არც მოწინააღმდეგეა. ფეხბურთელები ცარიელ კარს ბომბავენ და სულ ცოტა ხანში ანგარიშია 110:0! აბა, რამდენ ხანს შეძლებ ასეთი ფეხბურთის ყურებას? ცხადია, მალე მოგწყინდება...

ახლა მაინც მიხვდი, როგორ განასხვავო ეროტიკა პორნოგრაფიისგან?

* * *

– მოკლედ კლავა სიყვარულში გამოიტყდა.
– შენ რა ქენი?
– თავი მოვიმკვდარუნე.

* * *

– მიხო, შენ ხომ დღეს სამსახურის საშოვნელად აპირებდი წასვლას?
– ვაპირებდი.
– მერე?
– რა მერე, ვერ ხედავ, როგორი თავსხმა წვიმაა?

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ბ. ახვლედიანის ქ. 299-62-77; 599 32-85-76.

◎ ვაზუსტებთ

თამამად შემიძლია, ვუთხრა აბაშას – ყოჩაღ!

ამ სათაურით გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ მასალაში (ბოლო სვეტის მეორე აბზაცი) გიორგი სამსონიას ნაცვლად უნდა იკითხებოდეს **გიორგი სიმონია.**

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსაკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com